645
1972



# საქართველოს ქალი

მაისი
№ 5 1972 წ.




# ჟურნალი „კრესტიანკა" 50 წლისაა

ამ ნახევარი საუკუნის წინ — 1922 წელს, მივიდა ჟურნალ „კრესტიანკას" პირველი ნომერი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სოფელში. ნომერი იხსნებოდა სოფლის მშრომელი ქალებისადმი მიმართვით, რომლის ავტორი გახლდათ მიხეილ ივანეს ძე კალინინი. წერილში ნათქვამი იყო: „ამხანაგო გლეხო ქალებო, ეს ჟურნალი გამოდის თქვენთვის, მისი ყოველი სტრიქონი მომართულია თქვენდამი. ჩვენი ჟურნალის ამოცანაა დაგეხმაროთ რჩევებით საოჯახო საქმესა თუ ბავშვის მოვლაში, მოგცეთ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო აუცილებელი ცოდნა, რათა იოლად და კარგად წარმართოთ იგი; აგიხსნათ, რაც თქვენთვის გაუგებარია, გაგაცნოთ ქვეყნის ამბები. ჟურნალის სურვილია მოეხმაროს ჩამორჩენილ გლეხ ქალებს, აზიაროს ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებას..."

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „კრესტიანკა" მას შემდეგ სისტემატურად გამოდის. არსებობის პირველსავე დღიდან მისი ერთგული მეგობარი გახლდათ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. „კრესტიანკას" ფურცლებზე, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიასთან ერთად, სისტემატურად გამოდიოდა მიხეილ ივანეს ძე კალინინი, ჟურნალში თავიანთ ნაწარმოებებს ბეჭდავდნენ მაქსიმ გორკი, დემიან ბედნი, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, თედორე პანფეროვი.

ჟურნალის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ესაა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და განვითარების, სოფლელი ქალის მონობიდან განთავისუფლებისა და ზრდის ისტორია, ესაა მატიანე უზარმაზარი გარდატეხებისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გლეხი ქალის ცხოვრებაში მოხდა.

„საქართველოს ქალის" რედაქცია ულოცავს ჟურნალ „კრესტიანკას" რედაქციის კოლექტივს, მის მკითხველებს სახელოვან იუბილეს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს და მრავალი წლის სიცოცხლეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად



118/3

ჟურნალში ქვეყნდება მასალები მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მკერავი ტაირა მამედოვა

# მუშური რეპუტაცია

დილაა... ხმაურს იწყებს ათობით მანქანა, მოძრაობაში მოდის ნაკადი. ეს იმას ნიშნავს, რომ დაიწყო ცვლა და ვიმუშავებთ შვიდი-რვა საათის განმავლობაში. დამთავრდება სამუშაო დღე, შეჯამდება მისი შედეგები და აღმოჩნდება, რომ ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, დავალება გადაჭარბებით შევასრულეთ. მზა პროდუქციის გორაკებს — ჩვენს მიერ შეკერილ ლავსანის შარვლებს, საწყობში წაიღებენ, შემდეგ კი — სავაჭრო ქსელში.

ჩვენ, ოცდათვრამეტი მუშა ქალი, შევადგენთ № 2 სამკერვალო აგრეგატს. კოლექტივს საერთო ინტერესები აქვს და ქალიშვილების მისწრაფებაც ერთნაირია. ყოველთვის გვახსოვს, რომ თითოეული ჩვენგანის წვლილზეა დამოკიდებული კოლექტივის საერთო წარმატება, კარგი მუშური რეპუტაცია და აგრეგატის ყველა მკერავი ქალის ხელფასი.

ჩვენმა № 2 აგრეგატმა ვადაზე ადრე დაამთავრა გასული ხუთწლედი, ხოლო სკკპ XXIV ყრილობისათვის დამზადდა 4.500 ზეგეგმითი პროდუქცია, ვალდებულებაზე გაცილებით მეტი.

განა მარტო ორგანიზებულობა და მაღალი პროფესიული მომზადებაა ამის საწინდარი? ვფიქრობ, რომ აქ დიდი როლი ითამაშა მჭიდრო კოლექტივმა, აგრეთვე ადამიანების დამოკიდებულებამ დაკისრებული საქმის მიმართ და იმის შეგნებამ, რომ ყოველი საბჭოთა მშრომელის ინტერესი განუყოფლადაა დაკავშირებული სახელმწიფოს ინტერესებთან.

მე მგონია, ჩვენი კოლექტივი იმიტომ გაძლიერდა, რომ ვცდილობთ გავუთანაბრდეთ მოწინავეებს, მათგან ავიღოთ მაგალითი. ბრიგადაში შრომის საუკეთესო შედეგებს აღწევენ მკერავები: ელმირა სამედოვა, იადვიგა სტანიშევსკაია, ვალენტინა კაფაროვა, ნატალია იბადოვა და სხვები.

თითქმის მეოთხედი საუკუნეა ქარხანაში მუშაობს და თორმეტი წელია ჩვენს აგრეგატს ხელმძღვანელობს რიმა გრიგორიანი. მასთან სწავლობდა ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მკერავი ქალი, მათ შორის მეც. რიმას აქვს შესანიშნავი თვისება — მას გულწრფელად, მხურვალედ სჯერა, რომ უდისციპლინო, სუსტი მუშაკი შეიძლება გახდეს გამრჯე, თუ მასზე კოლექტივი იმოქმედებს.

და აი, ჩვენს აგრეგატზე მივიღეთ ქალიშვილი, რომელიც სხვა აგრეგატმა არ მიიღო, სთვლიდნენ, რომ იგი ხასიათშეუწყობელი, ცუდი ენის პატრონი და ზარმაცი ადამიანია. ჩვენს კოლექტივში კი ქალიშვილს სწორად მიუდგნენ. მოთმინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, დინჯად შეეცადნენ დაემსახურებინათ მძიმე წარსულის მქონე ადამიანის ნდობა. ახლა ის ჩვენს თანაბრად შრომობს და სარგებლობს ამხანაგების დამსახურებული პატივისცემით.

შემოქმედებითად შრომობს ჩვენი კოლექტივი. მკერავი ქალები ხშირად იჩენენ გამჭრიახობასა და სიმარჯვეს. ამის გამო ყოველდღიურად გადაჭარბებით ვასრულებთ დავალებას და ვაუმჯობესებთ ნაწარმის ხარისხს.

ჩვენი კოლექტივი წარმატებით იბრძვის წუნის ალაკვეთად. ითვლება, რომ ცვლაში გამოშვებული პროდუქციის 230 ცალზე დასაშვებია ხუთი გადაკეთება. ეს დაწესებული და დამტკიცებული ლიმიტია. მაგრამ, ჩვენ გადაკეთების რიცხვი ორამდე შევამცირეთ. ვცდილობთ, საერთოდ აღმოვფხვრათ იგი. ეს რომ შესაძლებელია, ამაზე მეტყველებს 24-ე ოპერაციის შემსრულებლის — ესმირა სამედოვას გამოცდილება. მკერავი ქალი იადიგა სტანიშევსკაიაც უახლოვდება მის მაჩვენებლებს.

წუნი დაუშვებელია, ამიტომ საჭიროა განუწყვეტელი დახელოვნება, მოწინავე ტექნოლოგიის შესწავლა, რასაც ჩვენ თანაზიარად ვაკეთებთ. დროდადრო ვაბარებთ თვითანგარიშს. ცვლის დაწყებამდე ან სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთი მუშაკი ანგარიშს აბარებს თავისი მუშაობის შესახებ. საუბარი ყოველთვის გულახდილია. მახსოვს, როგორი მკაცრი მოთხოვნა წავუყენეთ ესმირა სამედოვას, რომელიც ხშირად უშვებდა წუნს. ქალიშვილმა იგრძნო საქმის სერიოზულობა და პასუხისმგებლობა ამხანაგების წინაშე. გაკვეთილმა კეთილი შედეგი გამოიღო. დღეს ესმირა სამედოვა კონვეიერის საუკეთესო მუშაკთა რიგშია.

ლაპარაკობდა რა შრომით კოლექტივებზე, როგორც სოციალისტური საზოგადოების ძირითად უჯრედებზე, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე განსაკუთრებით აღნიშნავდა საბჭოთა ხალხის ისეთ თვისებებს, როგორიცაა ურთიერთდახმარება, ურთიერთმიშველება. გასულ ხუთწლედში ჩვენმა აგრეგატმა იკისრა სოციალისტური ვალდებულება: ყოველი მუშა ქალი დამატებით დაეუფლებოდა სამ ოპერაციას. მკერავმა ქალებმა თავიანთი დაპირება შეასრულეს.

ურთიერთმიშველებით და ურთიერთშენაცვლებით კოლექტივი მაქსიმალური ნაყოფიერებით მუშაობს. ამა თუ იმ მიზეზის გამო, რამდენიმე მუშა ქალის სამუშაოზე გამოუცხადებლობა გავლენას ვერ ახდენს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე.

ხუთწლიანი გეგმა — ეს სამუშაო დროის მილიონი წუთებია. საჭიროა გავუფრთხილდეთ ყოველ წუთს, გამოვიყენოთ იგი შედეგიანად. ჩვენ საბოლოოდ აღვკვეთეთ მუშაობის დროს ლაპარაკი, ამიტომ ლაპარაკის მოყვარულები იძულებული გახდნენ გარდაქმნილიყვნენ. ჩვენ აგრეგატზე მომუშავეებს უყვართ თვლა. ვითვლით, ზუსტად აღვრიცხავთ მიღებულ და დახარჯულ მასალას, თვალყურს ვადევნებთ ელექტროენერგიის ხარჯს, გვაინტერესებს მანქანების ამორტიზაცია.

არც ისე დიდი ხანია მივუსხედით ახალ სწრაფმავალ მანქანებს, ავითვისეთ ისინი ძალიან მალე — სამი დღის განმავლობაში. ახლა მთელ ძალ-ღონეს ვახმართ იმას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ტექნიკა და მკვეთრად ავწიოთ შრომის ნაყოფიერება.

**ტაირა მამედოვა,**
ალი-ბაირამოვის სახელობის ბაქოს სამკერვალო ფაბრიკის მკერავი.



# სხვადასხვა მერიდიანზე

ის ქვეყნები და ქალაქები რომ აღინიშნოს, სადაც ამ ბოლო წლებში აზერბაიჯანელი ქალები იყვნენ, საკმაოდ ვრცელი რუკა გამოვიდოდა. აზერბაიჯანელი ქალის ხმა გაისმის ევროპის საკონცერტო დარბაზებში და საერთაშორისო კონგრესებზე, იგი მონაწილეობს რთული მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტაში ავღანეთსა და ინდოეთში, სნეულებებს ებრძვის აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდებელ ქვეყნებში...

მეც ბევრჯერ ვყოფილვარ საზღვარგარეთ. 1956 წელს მონაწილეობა მივიღე ვიეტნამელ ქალთა მეორე ყრილობის მუშაობაში, რომელიც ჰანოიში — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა. მოვიარე ვიეტნამის ქალაქები, შევხვდი მეგობრებს, რომლებსაც ვუამბე აზერბაიჯანელი ქალების ცხოვრებაზე, შრომასა და მიღწევებზე.

1958 წელს მიმიწვიეს კაიროში, აფრიკისა და აზიის ქვეყნების ოფტალმოლოგების პირველ კონგრესზე. ჩემმა გამოსვლამ, თვალის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებზე, საერთო ინტერესი გამოიწვია. იმავე წელს მონაწილეობა მივიღე ოფტალმოლოგების XVIII მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, რომელიც გაიმართა ბელგიის დედაქალაქში — ბრიუსელში.

1959 წელს დავესწარი მაღრიბის ქვეყნების (ტუნისი, ალჟირი, მაროკო) თვალის ექიმთა კონგრესს, რომელიც ტუნისში ჩატარდა, ხოლო 1961 წელს საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ვეწვიე იაპონიას, სიტყვით გამოვედი ატომური იარაღის წინააღმდეგ გამართულ საერთაშორისო კონგრესზე ტოკიოსა და ხიროსიმაში.

ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი იყო 1962 წელი. პროგრესულ ამერიკელ ქალთა მიწვევით, საბჭოთა ქალების დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. მე, როგორც ამ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, სიტყვით გამოვედი ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, ფილადელფიაში, სან-ფრანცისკოში. მომდევნო წლებში ვიმოგზაურე ინგლისში, შოტლანდიაში, თურქეთში...

ყველგან, სადაც კი ვიყავით, მე წარმოვადგენდი საბჭოთა აზერბაიჯანის თავისუფალ, ბედნიერ ქალებს, ვცდილობდი ჩვენი ქვეყნის მეგობრებისათვის მედიცინის მეცნიერებათა მიღწევებთან ერთად გამეცნო ერთ დროს ჩამორჩენილი და მივიწყებული აზერბაიჯანელი ქალების დღევანდელი ბედნიერი ცხოვრება და წარმატებანი.

**უმნისა მუსაბეკოვა,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოცნებას ზღვარი არა აქვს



სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. ყურბანოვა

ზღვარი არა აქვს კაცის ოცნებას, დაბადებიდან დაჰყვა თითქოს იგი მას. ოცნებასთან ერთად დაიბადა, ოცნებასთან ერთად მიაღწია საწადელს.

მხატვრის ოცნება თვალუწვდენელ ოკეანეს მოჰგავს. რომ დარწმუნდეთ ამ სიტყვების სიმართლეში, მოდით ერთად გავესაუბროთ ჩვენი რესპუბლიკის სამ საამაყო ქალს. გავეცნოთ მათ დღევანდელ საფიქრალსა და სახვალიო გეგმას.

სიტყვას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, მ. ფ. ახუნდოვის სახელობის პრემიის ლაურეატს ოკიუმა ყურბანოვას, რომელმაც შთამბეჭდავ სახეთა მთელი გალერეა შეჰქმნა. იგი კვლავ შემოქმედებითი ძიების პროცესშია.

— ძნელია კაცმა ყველა ჩანაფიქრზე ილაპარაკო. ერთ გულში იმდენი გრძნობა და განცდა ეტევა! რას მივცე უპირატესობა, საიდან დავიწყო საუბარი? ზოგჯერ ისეთი განცდა დამეუფლება, რაზედაც წინათ არცკი მიფიქრია. აი, საიდან იწყება მოუსვენარი წუთები. მინდა დროს გავუსწრო, მაგრამ დრო შენი მორჩილი როდია! ზოგჯერ მინდა ვიყვირო, „შესდექი, წამო! მაცალე ახალი სიტყვის, ახალი აზრის გამოთქმა! წინ ნუ მისწრებ!“

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მახარებს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს სცენაზე თავის მტკიცე სიტყვას ამბობენ თანამედროვენი, რომელთაც მოუსვენარი სული და რთული ხასიათი აქვთ. „როცა სიტყვა გულს გვატკენს“, „დედის გული“, „მარად ჩემთან ხარ“, „უშენოდ“. ზოგ ამ სპექტაკლში მთავარი როლის შესრულება მე მაქვს დაკისრებული. რა არის მსახიობისათვის იმაზე სასიხარულო, სცენიდან ესაუბრებოდე ადამიანებს, რომელთაც ყოველდღე ხვდები! მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კარგ პიესებზე ჯერ კიდევ „შიმშილია“.

მოსკოვში ჩატარებული აზერბაიჯანის დღეების დროს, სასტუმროში ვცხოვრობდი შამამა გასანოვას, ზახრია სალაევასა და იუბუ მელიქოვასთან ერთად. მე თვალს ვადევნებდი ამ ქალების ქცევასა და მანერებს. რა შესანიშნავი ადამიანები არიან ისინი! სამართლიანად ამაყობს ჩვენი რესპუბლიკა მათი სახელებით. სწორედ მათი მსგავსი სახეები სჭირდება დღეს ჩვენს სცენას.

* * *

აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის, მ. ფ. ახუნდოვის სახელობის პრემიის ლაურეატის მარალ რახმანზადეს შემოქმედება გამოირჩევა სალებავების თავისებურებითა და კომპოზიციის ორიგინალურობით. მარალ ხანუმის საყვარელი ჟანრია გრაფიკა. მის ტილოებზე ასახულია დიდი ცხოვრება, იგი უმღერის საბჭოთა ადამიანს — მომავლის შემოქმედს.

სიტყვას ვაძლევთ მარალ რახმანზადეს:

— მე სულ სილამაზის ძიებაში ვარ. ჩემი მშობლიური ქვეყნის კუთხე-კუნჭულის ასახვა მინდა, ყველა ადგილის ასახვა, სადაც ფეხი დამიდგამს. მინდა შემოქმედებითად მქონდეს გააზრებული თანამედროვე ქალების — ქალიშვილებისა და საპატარძლოების შინაგანი სულიერი სამყარო. მინდა გავიხსენო ლეილას მწარე ხვედრი, რომლის შესახებაც ტკივილით ამცნეს ქვეყნიერებას ნიზამმა და ფიზულიმ. არ შეიძლება არ ვიგრძნო არსი იმ სილამაზისა, მე რომ ვეძიებ, არსი, რომელიც აზერბაიჯანელი ქალისა და ქალიშვილის სახეში იმალება. ყოველივე ამან მაფიქრებინა გრაფიკულ ნაწარმოებთა ციკლის — „ჩვენი ქალიშვილების“ შექმნა. შევეცადე ამ ტილოებზე გადმომეცა აზერბაიჯანელი ქალიშვილების ცხოვრება, შრომა და განცდა. თუ როგორი გამოვიდა, ამაზე სხვამ უნდა თქვას.

შარშან, სექტემბრის ბოლოს გაიხსნა რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა. ამ გამოფენაზე, „ჩვენი ქალიშვილების“ გარდა, მაყურებელთა სამსჯავროზე გამოვიტანე ლინოგრავიურა ციკლიდან — „ნავთობის ქვები“. უახლოეს დღეებში ვფიქრობ დავამთავრო ფერადი ლინოგრავიურების ციკლი — „ცეცხლის ქვეყანა“, რომელზედაც დიდი ხანია ვმუშაობ...

Азәрбајҹан гадыны

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომპოზიტორი შ. ახუნდოვა



აზერბაიჯანის სსრ სახალხო მხატვარი მ. რახმანზადე

* * *

იმ ორ შენობას, გუსი გაჯიევის ქუჩაზე რომ აღმართულან, ტყუილად არ ეძახიან ხელოვნების სახლებს. ერთში პოეზია იქმნება, მეორეში — მუსიკა. ერთ-ერთ ბინაში კომპოზიტორი შაფიგა ახუნდოვა ცხოვრობს. ბოლო დღეებში ამ ბინაში შუქი გვიანობამდე არ ჰქრება.

შაფიგა ხანუმი საერთო სახალხო დღესასწაულისათვის მუსიკალურ საჩუქრებს ამზადებს...

— ადამიანი სიმღერასთან ერთად დაიბადა, მხიარულ, სევდიან, ჩამაფიქრებელ, მგზნებარე სიმღერასთან ერთად, — გვეუბნება შაფიგა ხანუმი, — ძნელი წარმოსადგენია ჩემი ხალხი უსიმღეროდ. სწორედ ამით აიხსნება ჩემი უსაზღვრო სიყვარულიც სიმღერისადმი. როგორ ჟანრსაც არ უნდა ვქმნიდე, იქნება ეს ოპერეტა, სასპექტაკლო მუსიკა თუ დიდფორმიანი საორკესტრო ნაწარმოები, ყველგან მთავარი მაინც სიმღერაა. სუიტაში ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის, შევეცადე ხალხური მელოდიური სიმღერა უხილავი ძაფებით დამეკავშირებინა თანამედროვე რიტმისათვის,

შემოქმედებით გეგმებზე ლაპარაკი მეტად საპასუხისმგებლო რამაა. შემიძლია გითხრათ, დავწერ მუსიკას ალიბეილის „ჯუნგუშისათვის“, ეს სპექტაკლი დაიდგმება მოზარდ მაყურებელთა თეატრში. უნდა დავწერო აგრეთვე მუსიკა მთელი რიგი სპექტაკლებისა კიროვაბადის ჯ. ჯაბარლის სახელობის დრამატული თეატრისათვის.

ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა ოპერის შექმნა.

* * *

სამი ხელოვანი, სამი ოცნება, სამი სურვილი.

გ. გეოკჩოევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასულ რზა,
აზერბაიჯანის სახალხო პოეტი, სახელმწიფო პრე-
მიის ლაურეატი.

## სანამ დრო არის

მიჰქრის საათი
და წამები უხმოდ წყდებიან...
სადღაც ცვივიან, უსაზღვროეთს
უერთდებიან.
და ჩვენც მივყვებით დრო და ჟამის
ქროლვას, ვნებიანს,
შორს, საიდანაც ჯერ არავინ
დაგვბრუნებია.

სანამ დრო არის, არ მიუშვა
თვალებთან რული!
სვამდე სამყაროს, კვლავ გწყუროდეს
მისი მშვენება.
თვალწინ შენდება სახლი დიდი
და დიდებული,
ერთი ქვა მაინც მიიტანე
მის საშენებლად.

სანამ დრო არის, ყვავილებით
სული აივსე,
გაშალე თმები, გაგიგრილოს
დილის ნიავმა,
სანამ დრო არის, მოდი, ერთად
შევხვდეთ აისებს,
სანამ დრო არის, სიყვარულის
დრო არის სანამ.

სანამ დრო არის, ჩირაღდნებად
ფიქრი ავინთოთ,
ბაგეზე ღიმი ვიყვავილოთ,
ვუტევდეთ ბნელეთს!
სანამ დრო არის, შეგიძლია
ხელი გამითბო,
სითბოს, სინაზეს ნუ მოაკლებ
მეგობრის ხელებს!

რამდენი საქმე გველოდება კიდევ,
ვინ მოთვლის,
საქმე რამდენი და სათქმელი
კიდევ — რამდენი!
სანამ დრო არის, ეგ პაწაწა,
სათუთი ყლორტი
მიიტანე და იმ ვეება
ხეს დაამყენი.

მტრისთვის მრისხანე, მეგობართან
იყავი სათნო,
სანამ დრო არის იცოცხლე და
იყავ ძლიერი!
რომ, როცა წახვალ... ყველამ იგრძნოს,
ო, ყველამ ნახოს,
რომ სადაც იდექ, დარჩა
დიდი სიცარიელე...

## ოთხთა საუბარი

შევიყარენით ოთხნი:
იმედი,
ეჭვი,
სევდა
და მე.
შუაღამეა.
წვიმს.
ქარი ჰქრის.
ი მ ე დ ი ა მ ბ ო ბ ს:
გადაიწვიმებს,
ქარი ჩადგება,
ღამე დადნება,
დილა დადგება
და ოქროს მზე
შემობრძანდება.
ე ჭ ვ ი ა მ ბ ო ბ ს:
როდის-ღა?
როდის?
წვიმა, რომ შემდეგ თოვლად იქცეს,
ქარი — ქარიშხლად,
და აღარ იქნეს დასასრული
ბნელი ღამისა?
ს ე ვ დ ა ა მ ბ ო ბ ს:
რომც გადიწვიმოს,
დილამ მართლაც რომ გაგვიღიმოს,
რომც ჩადგეს ქარი,
იმ ეულ ხმას, ჩემში რომ არის,
იმ სიმარტოვეს — რომ ჩადგა ჩემში
არა აქვს ბოლო,
არც ჩანს ნუგეში.
იწყებს იმედი,
აჩუმებს ეჭვი,
დაიწყებს ეჭვი,
აჩუმებს სევდა,
და ვუსმენ მე მათ:
იმედს,
ეჭვს,
სევდას.
და ველი დილას —
ოქროსფერ მზის ამობრწყინებას
და არ ვკითხულობ:
როდის იქნება,
როდის და რა დროს,
ყურს ვუგდებ იმედს გარინდებით:
ილაპარაკოს,
დე, იმედმა
ილაპარაკოს!

თარგმნა მარიკა ბარათაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილარა ალიევა



1951-54 წლებში, თუკი ვინმეს საჯარო ბიბლიოთეკაში ჰქონდა სამუშაო, უსათუოდ შენიშნავდა გრძელნაწნავიან, შავგვრემან ქალიშვილს, რომელიც სულ ერთთავად წიგნებს ჩაჰკირკიტებდა.

მისი გარეგნობის მიხედვით ვერ იტყოდით, ქართველიაო, მაგრამ ქართულ ლიტერატურას კი ორიგინალში კითხულობდა.

ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავისი კეთილშობილებითა და შრომისუნარიანობით ყველას ყურადღებას იქცევდა, აზერბაიჯანელი ასპირანტი დილარა ალიევა გახლდათ.

დილარა თბილისში დაიბადა და ბავშვობაც თბილისის უძველეს უბანში — ორთაჭალაში გაატარა. ბაქოში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, თითო-ოროლა ქართული სიტყვა თუღა ჩარჩა მეხსიერებაში. თუმცა მთავარი სიტყვები როდია, დილარას სულს ცხოვლად დააჩნდა ქართული მიწის, ქართველი კაცის სიყვარული, რომელიც მუდამ გულით დაჰქონდა.

დილარას სწორედ ამ სიყვარულმა უბიძგა, როცა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დამთავრების შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა სასწავლებლად.

აქ, საქართველოს დედაქალაქში დაიწყო დილარას მეორე ბავშვობა — ქართულად ენის ადგმა. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში გატარებულ ასპირანტურის წლებს დილარა იგონებს, როგორ განუმეორებელს, ზღაპრული ფერადოვნებითა და ყმაწვილქალური ოცნებებით აღსავსეს.

დილარა ბევრს მუშაობდა. მთელი დღეობით ხან ბიბლიოთეკაში იყო, ხან ხელნაწერთა ინსტიტუტში, მუზეუმებში, არქივებში და დაუღალავად ეძიებდა და ჰპოვებდა...

ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში დილარა ალიევა თავს მეტად შინაურულად გრძნობდა. იგი მეგობრების გარემოცვაში იყო. იმ დროინდელი ასპირანტები: ვენერა ჯანგიძე, მაგალი თოდუა, შურა გვახარია, ეთერი შარაშენიძე, სარგის ცაიშვილი, რეზო ბარამიძე და სხვები და სხვები ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდნენ. დილარას მხოლოდ ქართულად უხდებოდა ლაპარაკი და სულ მალე გამართულად ამეტყველდა ქართულად. აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს მოსწონდა მისი ენთუზიაზმი, დაუცხრომელი ძიება და ენების ცოდნა. დილარა ხომ სრულიად თავისუფლად ფლობდა თურქულ, სპარსულ, არაბულ, ენებს. ეს კი მეცნიერულ კვლევაში დიდად უწყობდა ხელს. აქ, განყოფილებაში აირჩია მან საკვალიფიკაციო თემად აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა მე-19 საუკუნის ჩათვლით. ხელმძღვანელად უაღრესად გულისხმიერი, ერუდირებული და ცნობილი მკვლევარი ლევან ასათიანი ჰყავდა.

ხელმძღვანელის ბინაზე ხშირად დადიოდა მეცნიერული ძიების წყურვილით შეპყრობილი ასპირანტი, სადაც მას სითბო და სიკეთე, მშობლიური რჩევა-დარიგება და სიყვარული ხვდებოდა.

დადიოდა თბილისის ქუჩებში აზერბაიჯანელი ქალიშვილი და ერთი დიდი სურვილი გონებას უნათებდა: რაც შეიძლება მეტი მასალა, მეტი დოკუმენტი, მეტი ფაქტი აღმოეჩინა წინა საუკუნეების აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, უფრო მეტი კავშირი დაენახა ორი მეზობელი ერის წინა პერიოდების ურთიერთობებში. დილარას არ იზიდავდა თანამედროვე თემა, რაც ასე თვალნათელი და ხელმისაწვდომი იყო. მას რთული გზებით უყვარდა სიარული; რთულად აღმოჩენილში უფრო მეტ სიხარულს ხედავდა.

— ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის — მწერალ ლევან ასათიანის ბინაზე, — იგონებს აზერბაიჯანელი მკვლევარი დილარა ალიევა, — ხშირად იკრიბებოდნენ პოეტები, მწერლები და საინტერესოდ მსჯელობდნენ ქართული ლიტერატურის საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს გავიცანი პოეტი სიმონ ჩიქოვანი. მან როგორც კი შეიტყო რომ აზერბაიჯანელი ვიყავი, მაშინვე თავისი მეგობარი, აზერბაიჯანელი პოეტი აჰმედ ჯავადი გაიხსენა.

ეს ის აჰმედ ჯავადი გახლავთ, რომელმაც პირველმა აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ჩვენი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი". სიმონ ჩიქოვანი აჰმედ ჯავადს, თარგმნის დროს წამოჭრილი მრავალი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში დახმარებია.

დილარამ პირველად თბილისში სიმონ ჩიქოვანისაგან შეიტყო, რომ „ვეფხისტყაოსნის" აღიარებული თარგმანის (ს. ვურღუნის, ს. რუსთამის და მ. რაჰიმის) გარდა კიდევ არსებობდა ა. ჯავადისეული მეტად პოეტური და უბრწყინვალესი თარგმანი, რომელიც დროის ქარიშხალმა სადღაც მიჩქმალა, და ფართო საზოგადოება მხოლოდ ნაწილობრივ იცნობდა ადგილებს ამ თარგმნიდან.

1954 წელს, დილარა ალიევამ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მშობლიურ ბაქოს დაუბრუნდა. მაგრამ მისი სამეცნიერო ძიებები ამით არ დამთავრებულა. ასპირანტურის წლებიდან მოყოლებული, ბაქოს ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობის შემდეგაც, დილარა ალიევა ჩვენი ქალაქის სამეცნიერო საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილეა.

კონფერენციებსა და სესიებზე გამოსულთა შორის, მისი ნაწარმოებები ყოველთვის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩენილ მეცნიერთა და მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებდა და იმსახურებს.

ერთ-ერთი ასეთი სამეცნიერო სესიის დროს, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს ეძღვნებოდა, პოეტმა აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ დილარა ალიევას გადასცა თავისი კერძო წერილი, რომელსაც აზერბაიჯანელი სახალხო პოეტი სამედ ვურღუნი აწერდა ხელს. წერილი კერძო იყო, მაგრამ ის დიდი მეცნიერული ღირებულება, რომელიც ამ წერილს თან ახლდა, დილარა ალიევამ მკითხველთა ფართო საზოგადოებას გააცნო. ს. ვურღუნს, მოსკოვში, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლებზე, გ. ლეონიძის პოემა „ფორთოხალა“ წაუკითხავს და ამ შედევრით აღტაცებულს, მაშინვე წერილი უფრენია მეგობრისათვის. ეს წერილი დილარა ალიევას წინასიტყვაობით ჯერ აზერბაიჯანულ, ხოლო შემდეგ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა.

დილარა დაოჯახდა, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე და ორი თვალმახარა ვაჟიშვილი, რომელთაგან უფროსს საქართველოს სიყვარულით გიორგი დაარქვა, ხოლო მეორეს — პაპის სახელი — იბრაჰიმი. მაგრამ მისი მოღვაწეობა საოჯახო ჩარჩოებში არ ჩაიკეტა. მას არ ასვენებდა ლევან ასათიანის ბინაზე აღქმული და შთაბეჭდილი — „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანი აზერბაიჯანულად.

და აი, მკვლევარი ქალი პოემის თარგმანის ძიებაში ჩაიძირა. ცდას ამაოდ არ ჩაუვლია, ბოლოს მიაკვლია რვეულის ფურცლებზე გაკრული, გაუგებარი ხელით დაწერილ თარგმანის შავ პირს. დ. ალიევას ჯოჯოხეთური შრომა მოუხდა, რომ არაბული შრიფტით დაწერილი, ფერგადასული თარგმანი აღედგინა. ქართულ და რუსულ ტექსტებთან გულმოდგინე შეჯერების შემდეგ, პოემის თარგმანი გამართული სახით და დ. ალიევას წინასიტყვაობით გამოსაცემად გადაეცა აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობას.

დილარა მუდმივ სამეცნიერო ძიებაშია. მისი სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც თითქმის მზადაა, ისევ ჩვენი ერების ძველი საუკუნეების ლიტერატურულ ურთიერთობებს ეხება. „ნიზამი და ქართული ლიტერატურა“, — აი, რა აწვალებს და რა ახარებს აზერბაიჯანელ მკვლევარს.

დილარა თბილისის ხშირი სტუმარია, მაგრამ სტუმრობა მაინც სტუმრობაა, — ხანმოკლეა იგი ჩვენს ქალაქზე შეყვარებული ადამიანისათვის. დილარა ამჟამად ნიზამის მუზეუმის შუა საუკუნეების განყოფილებას განაგებს და რაგინდ დატვირთულიც არ უნდა იყოს, რა გინდ მხიარული ან სევდიანი, მისი ყველაზე ლამაზი სურვილი თბილისის ქუჩებში გავლა, ქართული სიმღერების მოსმენა და ქართველებთან საუბარია — იმ დაუვიწყარი ყმაწვილქალობის წლების გახსენება. და თუკი ვინმეს ეთქმის საქართველოზე — ჩემი მეორე სამშობლოაო, ეს პირველ რიგში დილარას ეთქმის.

**ლეილა ერაძე**

# ჩვენი მიზანი

დადგა დიდი ზეიმის დღე, პიონერიის 50 წლის სახელოვანი იუბილეს დღე — 19 მაისი. დღეს ჩვენი სამშობლოს ნორჩი მოქალაქეები, დიდი ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის წევრები მშობლიურ პარტიას, მთავრობასა და ხალხს უპატაკებენ სამშობლოსადმი თავიანთ უსაზღვრო სიყვარულზე და ერთგულებაზე, სამშობლოსადმი, რომელიც ყოველივე საუკეთესოს, ოქტომბრის რევოლუციის ყველა მონაპოვარს მათ აღზრდას, სწავლა-განათლებასა და ბედნიერებას ახმარს.

19 მაისს პიონერული ფანფარების საზეიმო ხმა მარტო მათ კი არ მოუხმობს, ვინც ახლა ატარებს პიონერულ ყელსახვევს, ამ დღეს პიონერულ საზეიმო ხაზზე დადგებიან წარსული წლების პიონერებიც, ყველანი, ვინც დიდი ხნის წინათ, ანდა სულ ახლახან ატარებდა წითელ ყელსახვევს და სამუდამოდ დარჩა პიონერიის ერთგული.

ზეიმის დღეებში ალისფერყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში სიყვარულითა და პატივისცემით მოიკითხავენ ვეტერან პიონერებს, გაზაფხულის ფერადი ყვავილებით შეამკობენ იმ გმირი პიონერების საფლავებს, რომლებმაც თავიანთი ნორჩი სიცოცხლე გასწირეს სამშობლოს საკეთილდღეოდ და მარად პიონერებად დარჩნენ; მოიგონებენ პავლიკ მოროზოვს, ზინაიდა პორტნოვას, ვალენტინ კოტიკს, ლენია გოლიკოვს და ბევრ მათ თანატოლს, რომელთა სახელებიც სასოებით გამოატარა პიონერთა უკვე მერამდენე თაობამ და სამარადჟამოდ დაუმკვიდრა საპატიო ადგილი პიონერთა ორგანიზაციის სახელოვან ისტორიაში.

პიონერულ ხაზზე საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვები „მზად ვართ!“ — ყოველთვის ფიცივით გაისმის. ეს არის ფიცი კომუნისტურ პარტიის საქმის ერთგულებისა, ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის საქმის ერთგულებისა. ახლა ჩვენში ძნელად მოიძებნება ოჯახი, სადაც პიონერთა რამოდენიმე თაობა არ იყოს. ოციანი, ორმოციანი, სამოციანი წლების და დღევანდელი პიონერები ერთად ზეიმობენ ამ დიად თარიღს, მარადიული სიცოცხლისა და სიყვარულის დღესასწაულს.

ამ დღესასწაულს ჟურნალი „პიონერი“ მათთან ერთად ზეიმობს. დიდია ჩვენი ჟურნალის მიზანი და ამოცანები მომავალი თაობების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ყოველ საზოგადოებრივ წყობაში მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემა ახალ მნიშვნელობას იძენს. დღეს, რთული ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში კი ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ოდესმე. ჩვენი უპირველესი ამოცანაა აღვზარდოთ ეპოქის შესაფერისი თაობა, აღვზარდოთ ისე, რომ გულმშვიდად შეგვეძლოს ჩავაბაროთ მას ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი.

ადამიანი ბავშვობაში ყალიბდება. ბავშვობა, კერძოდ სასკოლო ასაკი, ადამიანის სიცოცხლის ის მონაკვეთია, როდესაც ვითარდება რთული ადამიანური ურთიერთობა, ამხანაგობის, მეგობრობის, კოლექტივიზმის გრძნობა.

დიდი რუსი პედაგოგი მაკარენკო წერდა: ადამიანის აღზრდაში მონაწილეობს ყველაფერი — ადამიანები, ნივთები, მოვლენები, მაგრამ, ყველაზე მეტად, ყველაზე უპირველესად კი ადამიანიო.

არაფერი ისე არ რჩება მეხსიერებაში, როგორც სიყმაწვილეში წაკითხული წიგნების გმირთა სახეები. ისინი ჩვენი ახლობლების გვერდით დგებიან და მთელი ცხოვრების მანძილზე მოგვყვებიან. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ერთი გარემოებაც საკმარისია იმ უდიდესი პასუხისმგებლობის შესაგნებად, რაც საყმაწვილო ლიტერატურას, წიგნსა თუ საყმაწვილო ჟურნალს აკისრია.

ჩვენ მკითხველში უნდა ავღზარდოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, ადამიანების წინაშე მოვალეობის გრძნობა. ეს გრძნობებია პირველი ქვაკუთხედი, რომლისგანაც შემდეგ იბადება ყველა დანარჩენი, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, პატრიოტიზმი, კლასობრივი შეგნება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჟურნალის ძალა მასში გამოქვეყნებული მასალების ქმედობაშია. იგი უნდა დაეხმაროს ბავშვს ცხოვრების გაგებაში, უნდა გაუღვიძოს შეგნება, კარგის ქმნის სურვილი. ახლა ჩვენი ჟურნალის ასიათასობით მკითხველი ინტერესით ელის ყოველ ახალ ნომერს, რომლის ფურცლებიდანაც მათ ესაუბრებიან სახელმოხვეჭილი ადამიანები, მეცნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერები, მწერლები, მუშები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის წარჩინებულნი, რომლებიც გატაცებით უამბობენ ბავშვებს თავიანთ პროფესიებზე, მათი თაობის ადამიანთა სასახელო საქმეებზე, კონკრეტულ მაგალითებზე უჩვენებენ დღევანდელობის დადებით გმირს — ადამიანს, რომელსაც აქვს ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი თვისება — სამშობლო ქვეყნისათვის, სახალხო საქმისათვის ბრძოლის დაუცხრომელი სურვილი.

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ადამიანის ესთეტიკურ აღზრდას. კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხომ ყოველმხრივ განათლებული, სულით ფაქიზი, ყოველივე მშვენიერების დამფასებელი უნდა იყოს! სილამაზის დანახვისა და დაფასების უნარი კი სწორედ სიყმაწვილეში უნდა განუვითარდეს ბავშვს. ჩვენ გვინდა რომ ჩვენმა დღევანდელმა მკითხველმა, რა პროფესიაც არ უნდა აირჩიოს მან ცხოვრებაში, თავის მომავალ საქმიანობაში ჩადოს მშვენიერების გრძნობა, რომელიც ამ საქმეს — შესაძლოა ყველაზე პროზაულსაც კი — გახდის ბედნიერებისა და კმაყოფილების წყაროდ.

იმათ, ვინც ახლა პიონერულ ყელსახვევს ატარებენ, აქვთ დიდი სურვილი დაეხმარონ უფროსებს, გააკეთონ სამშობლოსთვის სასარგებლო საქმეები, მონაწილეობა მიიღონ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, რომელიც გულისხმობს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის კიდევ უფრო ამაღლებას. ჩვენი ვალია ვასწავლოთ მათ, დავეხმაროთ გახდნენ სამშობლო-ქვეყნის გონიერი და ყაირათიანი ბატონ-პატრონები. ბავშვები ჩვენი ხვალინდელი დღეა, ჩვენზეა დამოკიდებული როგორებს გავზრდით მათ. ყოველი ჩვენგანისაგან მათ უნდა ისწავლონ მაღალი და წმინდა სოციალისტური მორალი, დედამიწის ზურგზე ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობის მორალი. მათი კარგი, გონიერი აღზრდა — ესაა ჩვენი სიხარული, ჩვენი ბედნიერება, ჩვენი მომავალი და ჩვენივე ყველაზე დიდი დამსახურება სამშობლო ქვეყნის წინაშე.

ბაბულია შელია,

ჟურნალ „პიონერის" მთავარი რედაქტორი.

## ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის შექმნის 50 წლისთავი

# წინამძღოლი

მას სოფელში ყველა იცნობს, შარაგზაზე რომ დაინახავენ, გაუღიმებენ და მოკრძალებით ესალმებიან. იგი თამარ ხახუტაიშვილია, უფროსი პიონერხელმძღვანელი. ოჯახი არ არის, რომ ბავშვები არა ჰყავდეს; მათ კი ყოველდღე მოაქვთ შინ რაიმე ისეთი ამბავი, რომელიც თამარ ხელმძღვანელის სახელთან არის დაკავშირებული:

— დღეს ოპერაცია „საუნჯეში" ჩავებით, ჩვენი მხარის ისტორიული ძეგლები უნდა აღვწეროთ და თბილისში, მეცნიერებს მივაწოდოთ.

— ხვალ გერმანელ და ჩეხ პიონერებს წერილებს ვუგზავნით, დღეს ღია ბარათებს წარწერები გავუკეთეთ. შეთანხმებული ვართ, 19 მაისს პრაღაში, ბერლინსა და ჩვენს სოფელში ერთდროულად ავაგიზგიზოთ დიდი კოცონი.

— თამარ ხელმძღვანელმა თავისი ბავშვობის სურათები მოიტანა. ყველაზე მეტად ის მოგვეწონა 1951 წლის 1 მაისს, საპირველმაისო ზეიმის დროს რომ არის გადაღებული. გადავწყვიტეთ ყველა ოჯახი შემოვიაროთ, პირველი პიონერების ძველი ფოტოსურათები შევაგროვოთ. შემდეგ რაზმეულის მატიანესაც შევადგენთ, თამარ ხელმძღვანელი დაგვეხმარება.

— დედი, დედი, ხომ წამოხვალთ შენ და მამა შაბათს სკოლაში, სახალისო ქიმიის დილას ვატარებთ, რომ იცოდეთ, რა საინტერესო ცდებს გიჩვენებთ! ძალზე გაგაკვირვებთ!..

— იცით, თამარ ხელმძღვანელმა სიმაღლეზე მხტომელთა სკოლა ჩამოაყალიბა. დიახ, ასე ჰქვია — „სკოლა". ვისაც კი ხტომა ემარჯვება, ყველანი ჩავეწერეთ. კვირაში ორჯერ ვიმეცადინებთ. კარგ წარმატებებს რომ მივაღწევთ, შემდეგ შეჯიბრებაზე თვით ოლიმპიურ ჩემპიონს რობერტ შავლაყაძესაც კი მოვიწვევთ.

— კვირას სალაშქროდ მივდივართ, მაღალ მთაზე უნდა ავიდეთ, მაგრამ არ გვეშინია, თამარ ხელმძღვანელი მიგვყვება; ასე გვითხრა — მწვერვალს „პიონერი" ვუწოდოთ და იქ ზეიმი გავმართოთო. ახლა ყველანი ვემზადებით.

...აბა დააკვირდით, რამდენი სიხარული და აღფრთოვანება, აღმზრდელისადმი რაოდენ დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი ბავშვების ამ რამდენიმე ფრაზაში! სიყვარული, ნდობა და პატივისცემა უფროსი მეგობრისადმი, რომელიც, შეიძლება ითქვას, დღენიადაგ მათთან არის, მათთან ერთად ფიქრობს, განიცდის და ხშირად ფანტაზიორობს კიდეც, მათი — ნორჩების ახლობელიც არის, თითქოს თანატოლია და ამავე დროს, უფროსი მეგობარი, გზის მაჩვენებელი, აღმზრდელი და, რაც მთავარია, ერთგული ქომაგი და მზრუნველი.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი სიყვარულით სარგებლობს ადამიანში მასწავლებელი, რომლის მოგონება წლების მანძილზე გაჰყვება ხოლმე თან. მაგრამ მასწავლებელი მაინც უფროსია, მას მოკრძალებით შეჰყურებენ. პიონერხელმძღვანელი კი უფრო ახლობელია, პედაგოგიც არის (თამარ ხახუტაიშვილმა დაუსწრებლად დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი) და მეგობარიც, ისეთი ახლობელი, ყველაფერს რომ ანდობს ბავშვი.

ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის საშუალო სკოლის რაზმეული დღეს ერთ-ერთი მოწინავეა მთელს რესპუბლიკაში. ეს კი, უდავოდ, თამარ ხახუტაშვილის დამსახურებაა. მას არ გამორჩება პიონერული მოძრაობის არც ერთი სიახლე, არცერთი საგულისხმო საკითხი. მას შესწევს პიონერთა საქმეების გარშემო არა მარტო ბავშვების, არამედ პედაგოგების, სოფლის კომკავშირელების, ინტელიგენციის დარაზმვის უნარი. ეს კი ყველაზე მეტად დასაფასებელია ადამიანში, რადგან მხოლოდ კოლექტიური შრომით არის შესაძლებელი დიდი წარმატების მიღწევა, ასე რომ უხარებს გულს ალამბრელ ყმაწვილებს!

სასიხარულოა, აბა რა, როცა პიონერულ ხაზზე ყმაწვილებს საზეიმოდ გადასცემენ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჯილდოებს — ვიმპელებს!..

სასიხარულო და საამაყოა, როცა რესპუბლიკურ კონკურსში — „ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამაზებს სკოლასა და მის შემოგარენს" — გამარჯვებისათვის, განათლების სამინისტრო სკოლას დიპლომით აჯილდოებს!..

სასიხარულო და მისაბაძია, როცა რაიონულ შეკრებაზე საპატიო ჯილდოს იღებენ რაზმეულის ნორჩი მხარეთმცოდნეები!..

სასიხარულო და ამაღელვებელია, როცა ალამბრელი გოგო-ბიჭების რაზმები პიონერთა საკავშირო მარშის მარჯვენა ფლანგზე დგებიან და მოწინავეთა სახელს იხვეჭენ!



ყმაწვილების ამ წარმატებათა ორგანიზატორია თამარ ხახუტაიშვილი, რომელმაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები — ახალგაზრდობის ხანა, სოფლის გოგო-ბიჭების აღზრდას დაუკავშირა.

ადვილი არ არის იყო პიონერხელმძღვანელი. ეს ხომ ისეთი პიროვნებაა, რომელსაც ყოველდღე, დღენიადაგ მთელ სკოლასთან, ყველა მოსწავლესთან აქვს კონტაქტი. ყმაწვილები პირველად პიონერხელმძღვანელთან მიირბენენ, როცა ფოტოწრის შექმნას ან ავიამოდელების აგებას გაიფიქრებენ. პიონერხელმძღვანელს აძლევენ ყველა იმ შეკითხვას, რომელიც ცნობისმოყვარე ბავშვებს გაუჩნდებათ: რა არის დედამიწის სიღრმეში, ან როდის შესძლებენ მარსზე გაფრენას, რატომ ქრის ქარი, ან რომელ საუკუნეში გამოიგონეს სარკეები, შესძლებს თუ არა გამომთვლელი მანქანა მუსიკის დაწერას ან როგორ გადალახავს კოსმოსური ხომალდი დედამიწის მიზიდულობას?

ვინ მოთვლის, რამდენ ასეთ კითხვაზე გაუცია პასუხი თამარს, ან რამდენჯერ დაურაზმავს ყმაწვილები წიგნების სამყაროში სამოგზაუროდ და იქ ერთად მიუღიათ პასუხი წამოჭრილ შეკითხვებზე. თამარს უყვარს წიგნი, შეუძლია თავდავიწყებამდე იკითხოს. იგი კითხულობს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მეცნიერულ და სხვა სახის საინტერესო სტატიებსაც, ყოველივე ეს ცოდნას უფართოებს ქალიშვილს და, რა გასაკვირია, თუ შეკითხვაზე: თქვენს ხელმძღვანელს რომელი ფაკულტეტი აქვს დამთავრებულიო, ალამბრელი ყმაწვილები ხშირად ასე უპასუხებენ: ჩვენმა ხელმძღვანელმა ყველაფერი იცისო. რამდენადაც გადაჭარბებულად არ უნდა გვეჩვენოს ეს პასუხი, ამ სიტყვებში ნათლად ჩანს თამარის მონდომება, შრომისმოყვარეობა და საერთოდ ის, თუ როგორი სიყვარულით სარგებლობს ნორჩებში პიონერხელმძღვანელი — ყმაწვილების მეგობარი და მოამაგე.

თამარისნაირები ბევრი გვყავს, ყოველ სოფელში, ყოველ კუთხეში გაიგონებთ პიონერხელმძღვანელის მისამართით წარმოთქმულ ტკბილ ბავშვურ სიტყვებს. ჩვენც სწორედ ეს გვაღელვებს, სწორედ ეს გვახარებს!

გ. ბახტაძე



გ. ჩოგოვაძე,
საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

# არაგვი

არაგვის ხეობა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, იგი თავისი შესანიშნავი ბუნებით და ისტორიული ძეგლებით ხიბლავს და აჯადოებს ადამიანს.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად, 1971 წელს, მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს, არაგვზე დაიწყო ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა.

ჟინვალის წყალსაცავისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა იმ თვალსაზრისით, რომ სახალხო მეურნეობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ჰიდროტექნიკური კომპლექსის შექმნასთან ერთად არაგვის ხეობას უნდა შევუნარჩუნოთ ბუნების უნიკალური სილამაზე, არ დავუკარგოდ შთამომავლობას ისტორიული განძი, — ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლები, რითაც ესოდენ მდიდარია სამშენებლო ზონა და მისი შემოგარენი.

ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი წარმოადგენს წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების კლასიკურ მაგალითს. უფრო მეტიც, ამ კომპლექსის მშენებლობით გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებების განხორციელებაც, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალდიდობასთან ბრძოლას და წყლის რესურსების დაცვას გაჭუჭყიანებისაგან.

ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი გამოიმუშავებს ელექტროენერგიას სახალხო მეურნეობისათვის, სასმელი და ტექნიკური წყლით მოამარაგებს თბილისს, მცხეთას, რუსთავს და მათ მახლობლად განლაგებულ დასახლებულ პუნქტებსა და კურორტებს, საშუალებას მოგვცემს მოვრწყოთ მიწები. გარდა ამისა, ჟინვალის ჰიდროკვანძი საგრძნობლად შეამცირებს ტექნიკური წყლით რუსთავის უზრუნველყოფის დეფიციტს გვალვიან წლებში, შექმნის პირობებს საკურორტო მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის ჟინვალის წყალსაცავის გარშემო და დაამშვენებს თბილის-ორჯონიკიძის ტურისტულ ტრაქტს.

რამ განაპირობა მდინარე არაგვის გამოყენება ელექტროენერგიის წარმოებისათვის? პირველყოვლისა მისმა წყალუხვობამ და სწრაფმა დინებამ. არაგვის საშუალო წლიური ხარჯია 43,8 კუბმეტრი წყალი წამში (მაქსიმალური 1.120 კუბმეტრი წამში). სოფელ ჟინვალთან არაგვის კალაპოტი საგრძნობლად ვიწროვდება. დიდია ფერდობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხის სამსახურში

დახრილობა და სხვა, რაც მეტად ხელსაყრელია აქ მაღალი კაშხალის ასაგებად. ამ უბანში ერთმანეთს უერთდება ორი მდინარე — მთიულეთის არაგვი და ფშავის არაგვი; ცოტა ზევით კი მდინარე არაგვის ხეობა ორად იყოფა იმ ხეობებით, რომლებშიც ეს მდინარეები მოედინებიან. ამგვარად თვით ბუნებამ შექმნა იმის პირობები, რომ კაშხალის ზემოთ შეიქმნას წყალსაცავი. წყლით დაიფარება ტერიტორია, რომელიც ძირითადად გამოუსადეგარია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის.

სოფელ ჟინვალთან აშენდება მიწაყრილიანი კაშხალი, რომლის სიმაღლე იქნება 101 მეტრი, სიგანე ფუძეში — 490 მეტრი, სიგრძე ქიმზე კი — 415 მეტრი. ამ მონაცემების შესაბამისად წყლის წნევა 94 მეტრს შეადგენს. კაშხალის ტანის მოცულობა 5 მილიონ კუბურ მეტრს გადაამეტებს. იგი საიმედო კლდის საფუძველს დაეყრდნობა და სეისმურადაც მდგრადი იქნება. შეიქმნება 520 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის წყალსაცავი, რომლის ზედაპირის საერთო ფართი 11,5 კვ. კილომეტრს შეადგენს. მთიულეთის არაგვის ხეობაში წყლის შეტბორვა გავრცელდება 10 კილომეტრამდე და სოფელ ანანურს მიაღწევს, ფშავის არაგვის ხეობაში კი — 12 კილომეტრამდე, და სოფელ ნუზდისს მიუახლოვდება.

ჟინვალის ჰიდროკვანძი აღჭურვილი იქნება წყალმიმღებით და ყველა იმ ნაგებობით, რომელიც საჭიროა წყლის გასაშვებად.

ჰიდროელექტროსადგური მოთავსდება მდინარე არაგვის მაგარ კლდეში 55 მეტრის სიღრმეზე უშუალოდ კაშხალის ქვემოთ. სადგურში დაიდგმება 130 ათასი კილოვატის სიმძლავრის ოთხი აგრეგატი, რაც უზრუნველყოფს წლიურად 500 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიის გამომუშავებას.

ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის სქემა ითვალისწინებს წყლის გაშვებას მდინარე არაგვის კალაპოტში, როგორც სადგურის მუშაობის, ისე მისი გაჩერების დროს. ამისათვის წყალგამყვანი არხის ბოლოში (ტურბინებში წყლის გავლის შემდეგ) მოთავსებული იქნება ე. წ. შუალედი აუზი, რომელიც წყალს მიაწოდებს მუხრანისა და საგურამოს სარწყავ სისტემებს და მდინარე არაგვის ხეობების წყაროებს, რომელთა ფილტრატებითაც ამჟამად იკვებება თბილისი.

თბილისის მოსახლეობის ზრდამ და ინდუსტრიულმა განვითარებამ მწვავედ დააყენა მისი წყალმომარაგების პრობლემა. ეს საკითხი გადასაწყვეტია აგრეთვე მცხეთის, წყნეთის, კოჯრის, წოდორეთისა და დედაქალაქის ახლომდებარე ადგილებშიც. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მცირე სიმძლავრეების ამოქმედებით ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება წყლის დეფიციტის ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მძლავრი წყალმომარაგების წყაროს ამუშავებით. გადაწყდა ამ მიდამოების წყლით უზრუნველყოფა მდინარე არაგვიდან, რომელიც დარეგულირდება ჟინვალის წყალსაცავით. ამ გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არაგვის წყლის შესანიშნავმა თვისებებმა. მასში არ არის წმინდა ნატანი, რომლისგანაც წყალი სპეციალური საშუალებებით უნდა გაიწმინდოს. არაგვის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა 9,5 გრადუსს შეადგენს. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ არაგვის ხეობაში არ არის სამრეწველო საწარმოები და მოსახლეობაც ნაკლებია, ადვილად წარმოსადგენია ის უპირატესობა, რაც მოეპოვება ამ მდინარეს თბილისისა და მისი მიდამოების წყალმომარაგებისათვის.

ჟინვალის წყალსაცავის შექმნით გაუმჯობესდება სასმელი წყლის ტემპერატურული რეჟიმი, რადგან წყალმიმღები დიდ სიღრმეზე იქნება და იგი უფრო კარგად დაიწმინდება. ასეთი დიდი წყალსაცავი უზრუნველყოფს აგრეთვე წყლის ბაქტეროლოგიურ თვითგაწმენდას.

ჟინვალის წყალსაცავიდან გამომავალი წყალგამტარი ნაგებობანი გაანგარიშებულია დაახლოებით წამში 12 კუბმეტრი წყლის გამტარიანობაზე.

ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების შემდეგ დადგინდება შუალედი (ბუფერული) აუზიდან წყლის გაშვების რეჟიმი მდინარე არაგვის კალაპოტის წყლით უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, ბულაჩაურის, ჭოპორტისა და საგურამოს წყაროების საინფილტრაციო მოედნები სპეციალური მილსადენებით მიიღებენ ნატანისაგან გაწმენდილ წყალს. ჟინვალის ჰიდროკვანძის შექმნით გადაიჭრება მიწების მორწყვის საკითხიც.

მდინარე არაგვის ხეობაში, სოფელ ჟინვალის ქვემოთ, მიწადმოქმედებისათვის გამოსაყენებელი მიწის ფონდი 21,3 ათას ჰექტარს აღწევს. აქედან ამჟამად ირწყვება მხოლოდ 9,3 ათასი ჰექტარი (მუხრანის ველი).

ჟინვალის წყალსაცავის შექმნის შემდეგ და მდინარე არაგვის ჩამონადენის დარეგულირებით შესაძლებელი იქნება დამატებით 47,5 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვა. ამათგან არაგვის ხეობაში მოირწყება 9,5 ათასი ჰექტარი, იორის ველზე — 32,0 ათასი ჰექტარი. მტკვრის ხეობაში — 6,0 ათასი ჰექტარი. დღესდღეობით მდინარე იორის ველზე იგრძნობა წყლის მნიშვნელოვანი ნაკლებობა. როგორ გამოსწორდება ეს მდგომარეობა?

ჟინვალის წყალსაცავიდან წყალი 7 კუბმეტრის რაოდენობით წამში სამეურნეო-სასმელი წყალსადენის ტრაქტის გავლით ჩაედინება თბილისის ზღვაში, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მდინარე იორის წყალი თითქმის მთლიანად გამოვიყენოთ იორის ველის მოსარწყავად.

ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის აგებას აქვს კიდევ ერთი დადებითი მხარე. საქმე იმაშია, რომ ქ. რუსთავის მზარდი მრეწველობისა და სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მოთხოვნილება ტექნიკურ წყალზე 55–60 კუბმეტრს შეადგენს წამში. წყლის მიწოდება სწარმოებს მდინარე მტკვრიდან, რომლის მინიმალური ხარჯი ცალკეულ პერიოდებში ეცემა 35–40 კუბმეტრამდე წამში, რაც დიდ სიძნელეებს უქმნის მძიმე ინდუსტრიის ობიექტების მუშაობას. ჟინვალის წყალსაცავი უზრუნველყოფს იმას, რომ ეს ხანმოკლე დეფიციტი მთლიანად დაიფაროს.

ჟინვალის ჰიდროკვანძის შექმნა ფართო შესაძლებლობებს სახავს მრავალი კილომეტრი სიგრძის დატბორილ მონაკვეთებზე წყლის ტრანსპორტის გამოყენებისა და მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებების განხორციელებისათვის.

ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გაგვეშუქებია ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის შექმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ძალზე დიდია კომუნისტური მშენებლობის ამ ერთ-ერთი თვალსაჩინო მშენებარე ობიექტის სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა. ვუსურვოთ წარმატებანი ჩვენს ჰიდროენერგომშენებლებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან შექმნან საბჭოთა საქართველოს ენერგეტიკის ახალი მძლავრი კერა და ახალი დიადი ფურცელი ჩაწერონ თვალწარმტაცი არაგვის ხეობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.







# გადარჩენილი სიცოცხლეები

დების შემოდგმისთანავე იმედი და ნუგეში აგვევსებათ.

კეთილი, მზრუნველი სახეები ქალის შეგმატებს. თბილი, იმედიანი სიტყვა ერთხელ კიდევ დაგარწმუნებთ ადამიანის ყოვლისშემძლეობაში. აქ ჰპოვებთ იმას, რისი დაბრუნების იმედიც იქნებ, აღარც კი გქონდათ...

„სისხლის გადასხმის სამსახური"... დიახ, სამსახური, ერთის დამატებით —

...აქ გარუქებენ სიცოცხლეს ყოველგვარი პათოსის გარეშე, საქმიანად, უბრალოდ.

აქ მოდიან თვალცრემლიანნი, მიდიან ბედნიერნი, გამდიდრებულნი.

„...მიგვყავს ჩვენი ბიჭი — ხელმეორედ დაბადებული, ბიჭი, რომელიც მარტო ჩვენი შვილი აღარ არის. ჩვენს პროფესიაში ასეთი შედეგისათვის რომ მიგვეღწია, „გენიალური მსახიობები" დაგვერქმეოდა.

გილოცავთ სიკვდილზე კიდევ ერთ გამარჯვებას. იმაყუთ. გმადლობთ.

ბელა მირიანაშვილი, კახი კავსაძე.
ნოემბერი, 1969 წელი".

შთაბეჭდილებათა სქელი წიგნიდან მადლობის ეს სტრიქონები ამოვიწერეთ ხმამაღლითოდ. ასევე სწერენ სოხუმელი და ლანჩხუთელი, ახალციხელი და ქუთაისელი, მესტიელი და თერჯოლელი მშობლებიც.

1969 წლის გაზაფხულზე გაიხსნა თბილისში, კამოს ქუჩაზე, ქალაქის სისხლის გადასხმის სადგურის (დირექტორი ნ. მღებრიშვილი) ბავშვთა ჰემატოლოგიური განყოფილება 30 საწოლით, სადაც მკურნალობენ ჰემოლიზურ, ყველა სახის ანემიით, ვერგოფითა და კაპილარო-ტოქსიკოზით დაავადებულ ბავშვებს. მკურნალობა ძირითადად ტარდება სისხლისა და პლაზმის გადასხმით, ჰორმონოთერაპიით, ვიტამინებით, რკინის პრეპარატებით...

...საერთო საზრუნავმა და საფიქრალმა შეაკავშირა განყოფილების მუშაკები. მათ უყვართ ბავშვები. სხვანაირად არც შეიძლება... ვინ მოთვლის, რამდენჯერ დასთენებიათ თავზე პატარების საწოლთან მოფუსფუსე ექიმებს: ციალა ცქიტიშვილს, ვიოლა ჯანიბალჩიევს, იათამზე ნანეიშვილს. სულ ერთი წლის წინ მოვიდა აქ ციცო ძლენტი და მრავალის მადლობა დაიმსახურა უკვე.

დილაადრიან მოუთმენლად მოელიან მშობლები მედდა ასმათ იალანაშვილს. მისი კოლეგების სიტყვებით რომ ვთქვათ: „ისეთ ვენებში ხვდება ნემსით, რომ სასწაულებს ახდენს ასმათი. ბევრ ექიმსაც არ უდებს ტოლს"... კვალიფიციური სპეციალისტები — ასმათ იალანაშვილი და ელიკო მუკათარიძე ოსტატურად გადასცემენ თავიანთ გამოცდილებას ახალბედებს.

თავდადებული, უხმაურო საქმიანობით შეაყვარეს ავადმყოფების მშობლებს თავი განყოფილების უფროსმა მედდამ გულნაზ გაგნიძემ, მედიცინის დებმა — ეთერ ტარყაშვილმა და ლია ფრუიძემ.

სამი წლის მანძილზე განყოფილების მუშაკებმა ათასამდე ბავშვის სიცოცხლე იხსნეს.

— გამოცდილი პედიატრ-ჰემატოლოგები ილწვიან ბავშვთა ჰემატოლოგიურ განყოფილებაში. ყველა საშუალება გაგვაჩნია დიაგნოზის სწორად და დროულად დასმისათვის. ჩვენთან ფართოდ არის დანერგილი სისხლის შემცვლელი ნივთიერებების გადასხმით მკურნალობა, — ამბობს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა ჰემატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, დოცენტი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე.

...მოდიან და მოჰყავთ სკოლამდელი თუ სასკოლო ასაკის ბავშვები, უფრო ხშირად კი — ახალშობილნი, რომელთაც დედისა და ბავშვის სისხლის შეუთავსებლობის გამო, მკვეთრად აქვთ გამოხატული სიყვითლის ნიშნები — გამოწვეული ერითროციტების დაშლით — ჰემოლიზით.

ცნობილია, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ხშირად ავადდებიან ინფექციური დაავადებებით, ფილტვებისა და კუჭ-ნაწლავის ანთებით, სეფსისით და ა. შ., რის შედეგადაც ხშირად უვითარდებათ ანემია, დედისა და ბავშვის სისხლის ჯგუფობრივი და რეზუს კუთვნილების შეუთავსებლობის გამო კი ახალშობილებში ვითარდება ჰემოლიზი.

— თვითეულმა დედამ უნდა იცოდეს, რომ დღენაკლულ ბავშვთა ორგანიზმში, მე-4, მე-6 თვიდან, სისხლმბადი ორგანოები რკინის დეფიციტს განიცდიან და ხშირად ეწყებათ სისხლნაკლებობა. საჭირო ხდება სისხლმბადი ორგანოების მდგომარეობის გამოკვლევა. ეს ორგანოები მეტად ნაზია და ყოველგვარ ინფექციებსა და არასწორ კვებას ანემიამდე მიჰყავს ბავშვი. ზოგიერთი დედა საშიშროებას ვერ გრძნობს და შვილს ხშირად „თეთრ ბავშვს" უწოდებს. ეს მცნება მეტად არასწორია. სწორედ აქ მართებთ სიფხიზლე მათ. მძიმე ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ ბავშვის სისხლი გამოკვლეული უნდა იქნეს და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა დროულად დაენიშნოს, — შენიშნავს ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე.

მშობლების სიფხიზლე ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის ერთ-ერთი პირობაა. ზოგჯერ, ჰემოგლობინის 50-48 ერთეულამდე დაცემა დედებს არც თუ ისე საშიშად მიაჩნიათ და თავს იკავებენ სტაციონარული მკურნალობისგან. ხოლო ოჯახურ პირობებში ბავშვის განკურნება ძნელია.

ახალშობილებში ჰემოლიზური დაავადების მკურნალობის პროგრესული მეთოდის დანერგვა სამშობიარო სახლებსაც მართებთ. დედასა და ბავშვს შორის რეზუს შეუთავსებლობით გამოწვეული პათოლოგიური ცვლილებების სალიკვიდაციოდ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები სისხლის შენაცვლებითი გადასხმის გზით. შემდგომი მკურნალობა კი უნდა გაგრძელდეს სისხლის გადასხმის სადგურში.

პედიატრიის ინსტიტუტის ბავშვთა ჰემატოლოგიური განყოფილება ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა. აქ ბევრი აქტუალური პრობლემა მუშავდება განყოფილებაში ილწვიან საქართველო პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი პროფესორი ი. ფაღავა) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნინელი კორიაკოვა, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლები ლილი კაკაბაძე, ნ. აბზიანიძე, მადლენა ლომატინერი, თამარ ენუქიძე, ლაბორანტი ლამარა ბაქრაძე...





აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალაქის სისხლის გადასხმის სადგურის ბავშვთა ჰემატოლოგიური განყოფილების (გამგე — ც. ცქიტიშვილი) მუშაკები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს აქედან გაწერილი, გაჯანსაღებული ბავშვების ზრდა-განვითარებას ხანგრძლივი დროის მანძილზე; მშობლებს პერიოდულად ახსენებენ ლია ბარათებით, მათი შვილების სისხლის ხელახალი გამოკვლევის (და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის) აუცილებლობას. შემდეგ პედიატრ-ჰემატოლოგები გულდასმით ამოწმებენ საკონტროლოდ მოსულ ბავშვთა ჯანმრთელობას, სწავლობენ ნერვულ სტატუსს, გონებრივ-ფიზიკურ განვითარებას, მეტყველებას... ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი კეთდება ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად.

„...ჩემი სიხარული მინდა ყველას, ყველა მოწყენილ და დადარდიანებულ დედას გავუზიარო, ვურჩიო, რომ დახმარებისათვის თქვენ მოგმართონ.

იყავით მუდამ ხალისიანნი, უანგარონი, კეთილშობილნი, როგორიც დღეს ხართ. იდღეგრძელეთ, კეთილო ადამიანებო!.."

ეს სამადლობელი დედა-შვილს — ლიანა და პატარა ამურ ტატიშვილებს ეკუთვნით. ჩვენც გვინდა ხმა შევუერთოთ მათ და გითხრათ: მართლაც, იხარეთ და იდღეგრძელეთ კეთილო და გამრჯე ადამიანებო, თქვენს საქმეებზე, თქვენს დალოცვილ მარჯვენაზე ხომ თქვენს მიერ გადარჩენილი ათასობით სიცოცხლე ლაღადებენ.



ნათელა ძიმერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა. ბარამიძე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს — აკადემიკოსს ალექსანდრე ბარამიძეს 70 წელი შეუსრულდა. ღვაწლმოსილი მეცნიერის კალამს ეკუთვნის 200-მდე გამოკვლევა და წერილი, ნარკვევების 5 ტომი.

ა. ბარამიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული ფილოლოგიის, კერძოდ ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების საქმეში. კორნელი კეკელიძესთან ერთად მან შექმნა ძველი ქართული მწერლობის ერთიანი მეცნიერული კურსი. მისი უშრეტი შთაგონების წყაროა ჩვენი პოეზიის გვირგვინი — „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც მან არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნა!

ა. ბარამიძემ თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე უამრავ ახალგაზრდას მისცა საგზური მეცნიერების დიდ შარაზე გასასვლელად.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივი უერთდება მომლოცველთა დიდ არმიას და უსურვებს სახელოვან იუბილარს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით სიხარულსა და გამარჯვებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე



# ქებათა-ქება ჩვენი საკერავი მანქანისა

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

ჰაი, ნუცაო, — დაიძახა ჩოხმახაანთ ლადიამ. ვიდრე გავაგონებდი, მობრძანდი-მეთქი, მორყეული კიბე ამოიარა, მოფამფალებული კარიც შემოაჭრიალა და შემოვიდა ოთახში. შინ მარტო მე ვიყავი, „მაგდანას ლურჯას“ ვკითხულობდი — გაკვეთილად გვქონდა. დედაჩემი ვენახში იყო, ბებია — ჰინჰარზე. ლადიას ხმა არ ამოუღია, გამქცევივით მიიხედ-მოიხედა, მერე ტყავის პორტფელი მარცხენა ხელში გადაიტანა, დაიხარა, მარჯვენა ფანჯრის შიგა რაფაზე დადგმულ საკერავ მანქანას ამოსდო, იღლიაში ამოიჩარა, აიყოლა და კარში გაალაჯა. კიბეზე რომ ჩადგა ფეხი, მაშინ გამოვერკვიე: წიგნი ტახტზე მივაგდე, გამოვუდექი, ბოლო საფეხურზე წამოვეწიე და ქამარში ჩავაფრინდი ღნავილით:

— სად მიგაქ ჩვენი მანქანა!

— წადი შენი!.. — მუჯლუგუნით მომიშორა.

ახლა ორივე ხელი ჩავჭიდე ქამარში:

— შენია, რომ მიგაქ?!

— არ გამაგდებინო მანქანა, თორემა! — ისე ლონივრად მომიქნია პორტფელი, რომ ვერ ავიცდინე, ორჯერ შემობზრიალდა და შემომაბზრიალა.

— ვაიმე: დედავ!

— ხელი ქამარში!

— არ გაგიშვებ! რო მიგაქ, შენია? — ცრემლად ვიღვრები.

— ხელი გამიშვი, შე ლაწირაკო!

— დადე მანქანა და გაგიშვებ!.. ვაიმე დედავ!.. — მკლავს თუ დამაჭრიან, თორემ ისე რა გამაშვებინებს ხელს. გამიშვიო?! უარესად არ ვეჯაჯგურები?!

ხმაურზე გამოცვივდნენ მეზობლები, შემოჯარდნენ ჩვენს ეზოში, ვიშვიშებენ, ბუზღუნებენ, ოხრავენ, კბილებს აკრაჭუნებენ... ყაყანებენ: ღმერთო, რატო არ დაიქცევა შენი სამართალი, ამასაც კაცი უნდა ერქვასო? ღმერთი რომ არსებობდეს, ამ ბალღის მამა მიწაში იდებოდა და ეს რეგვენი ბალახს გათელავდაო?

ლადია გაჩერდა, გაფითრებული მომაჩერდა, მეც ხელი გავუშვი ქამარში. ღნავილით აღარ ვღნავი, მაგრამ სლუკუნს კი ველარ ვიჩერებ. თედო პაპამ თავი გააქნია, სადა ხართ, დაკარგულო ბედაურებოო, მერე როგორც იცოდა, ისე დინჯად, მამაშვილურად უთხრა, ლუკმას რა ნამუსით აცლი ობლებსაო. ვალი გადაიხადონ და, რა თავში მიხლია სხვისა მანქანაო. ხმა აღარვის ამოუღია. ლადიასაც ეს უნდოდა — წასვლა დააპირა. რაღა დროს სლუკუნი იყო, დავწვდი მუშტა ქვასა და წინ გადავუდექი.

— აბა, ერთი ნაბიჯი გადმოგიდგამს! — დასარტყმელად ვეტანები.

— სიზმარს აგიცხადებ, შვილო!

— შვილები შინ გიყრიან! — ცოტაც და დავატიალებ გოგრაში.

— დამარტყი და მაშინა ნახავ! — მეზობლებს მიუბრუნდა, — თქვენი ბრალია, თქვენ შეასხით ფრთები, მე თქვენი!..

ამ დროს ბიძაჩემი შემოვიდა ეზოში (ლადია ერქვა ბიძაჩემსაც),

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევატყვე, ერბინა, ლოყაზე, ნაჭრილობევის ღარში ოფლი მოღვენთავდა.

— რეერთი მოგაოხრო? — ჰკითხა ბიძაჩემმა და ომიდან ჩამოყოლილი, გრძელი შინლის შიგა ჯიბეში ხელი ჩაიყო.

ლადიას არარაფერი უთქვამს, საკერავი მანქანა ფრთხილად დადო კიბეზე და ეზოდან გავიდა. ბიძაჩემმა დამცინავად გააყოლა თვალი, მერე მოვიდა ჩემთან, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— არაფერია, შვილო, ერთხელ შენც ხომ უნდა გაეცნო ცხოვრებას!...

მას შემდეგ, ჰაი, ნუცაო, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ დაუძახია ჩოხმახაანთ ლადიას; კიდევ რამდენჯერ ამოუჩრია იღლიაში ჩვენი საკერავი მანქანა, წაუღია, გამოუდგამს ქვეყნის დასანახად, აბა აქეთ, ჩალის ფასადო, მაგრამ არავის წასცდენია ხელი, რაკი სხვა იყო ჩვენი საკერავი მანქანა.

თვალს მოვარიდებდი ჩანაღვლიანებულ დედაჩემს და ვიქადნებოდი:

— ჯერ გავიზარდო, მე ვიცი მაგისი!

პირველი მსოფლიო ომის უბედურება ჩვენმა საკერავმა მანქანამაც იგრძნო — დღე და ღამე გაუთავებლად ღუღუნებდა და ჩხრიალებდა. თითქოს განგებამ სასიკეთოდ მოისურვაო, იმხელა სოფლის მკერავი მარტო დედაჩემი იყო, მარტო ჩვენს კარიზე დაიძახებდნენ ხოლმე:

— გაფრინდაანთ ქალო!

— ვინ იძახის! — გახედავდა დედაჩემი, — უი, შენა ყოფილხარ, მობრძანდი!

— ჰო, მე ვარ! სარჩო მოვიკელი, ორიოდე მეტრი ჩითი ვიყიდე, რასაც გამოიყვან, ის შეუკერე ჩემს ბაღლებსა.

დაცარიელებული საპურეს შემყურე დედაჩემი უარის სათქმელად როგორ ამოიღებდა ხმას: გაზომ-გამოზომავდა, ჩაფიქრდებოდა, ამოიოხრებდა და იტყოდა:

— ორი საკაბეა. ექვსი შოთი გაიმეტეთ.

— რო მეძვირება, რძალო?

— რა ვქნა, გენაცვალე, მეც რომ შვილებისთვის მინდა?

მუშტარი შეხედავდა ვეება ჩარჩოში ჩასმულ მამაჩემის სურათს და მოტყდებოდა უცებ:

— წავალ, მოვიტან და მოგართმევ. როდის იქნება?

— ეხლავე ჩავუჯდები.

ღმერთო, მაინც რა მადა გვქონდა მაშინ. თითქოს იმიტომ მოვედით ამ ქვეყანაზე, უზომოდ რომ გვეჭამა, მხოლოდ საპურეს დაცარიელებაზე გვეზრუნა. პურის გარდა არაფერი გვქონდა საფიქრალი, სიზმარშიც პურის გორებსა ვხედავდით. პური იყო დარდიც და საწყაოც სიხარულისა, ბედნიერებისა. მაშინ ყველაზე დიდი სკამი, ყველაზე საპატიო სკამი გახლდათ თეთრად გაბმული აბლაბუდის ქვეშ, ახრჩოლებულ შუაცეცხლთან მიგორებული მეწისქვილის კუნძი. ეს თითქოს ნაკლებულობის ბრალი არ იყო, თითქოს იმიტომ ვჭამდით ორივე ყბით, რომ ჩვენი არსებობა გაგვემართლებინა. რაც იჭმეოდა, ყველაფერს ვნთქავდით, მოსალოდნელი შიმშილის შიშით. რაც უნდა ბლომად გვქონოდა საჭმელი, დედები მაინც მშივრები იყვნენ. იმ გაჭირვების ჟამს, იმდროინდელ ბავშვებს შიმშილი მაინც არ გვინახავს — მხოლოდ დედებმა იციან მისი ბრჭყალების ფასი. „არ მშია“, — ნეტავ სად დაიკარგა მაშინ ეს სიტყვა, დღეს ასე რომ აკერიათ პირზე ჩვენს ბავშვებს?!

თოვლიანი ზამთარი ჩვენთვის კიდევ ერთი ახალი გასაჭირი იყო. ალარსად ჩანდა პირველი თოვლით გამოწვეული სიხარული, როგორც ამას „დედა ენაში“, ყვითელ ფურცელზე დაბეჭდილ ნახატზე ვხედავდით. რაკი შილიფად გვეცვა, ფეხსაცმელებშიც წყალი ჟონავდა და შინიდან არ გვიშვებდნენ. გავეპარებოდით და მაინცადამაინც დიდად არ გვიწყრებოდნენ, ამათ ისიც ეყოფათ, გათოშილები ჩანავლულ ღუმელთან რომ სხედანო.

სკოლიდან დაბრუნებული ვიდრე წიგნებს დავყრიდი მაგიდაზე, ჯერ ყველა ფანჯრის რაფას მოვატარებდი თვალს. თუ საკერავ მანქანას ვერ დავინახავდი, ეს იმას ნიშნავდა, დედაჩემი სამუშაოდ იყო წასული, — ხშირად ისეთი მუშტარიც მოაკითხავდა ხოლმე, წამოდი, ჩვენთან შეკერე, შეშა ბლომად მაქვს, ამ გალარლარებულ სახლში გულს როგორ დაუდებო. შეშა დაგვეზოგებაო, აიკიდებდა დედაჩემი საკერავ მანქანას და ხან სოფლის ბოლოს მიარღვევდა თოვლს, ხან — სოფლის თავში ქარ-ბუქს. ბებია ამ დროს რომელიმე მეზობელს დაეხმაურებოდა: ბიჭი სკოლაშია, გოგოები — ქალაქში, რძალი — სამუშაოდ წავიდა, მარტო შინ რა გამაჩერებსო. შეშას ზოგავდა დედაჩემივით, მაგრამ ჯანის დაზოგვაზე არასოდეს უფიქრია — გაჭირვებამ არ მიახედა იქით...

თუ ღმერთი გადმოგვხედავდა და ნავთს ვიშოვნიდით სადმე, დედაჩემი ახალგაზრდობის გასახსენებლადაც იცლიდა, ააწყობდა გიტარას და ძველ, ყვავილების სურნელით, ჭეჭილის შრიალით, ბავშვების სიცილ-კისკისით, უზრუნველი დღეებით სავსე სიმღერებსა მღეროდა. მაშინ ბებია გარეთ გადიოდა ცრემლის დასამალად.

ზამთრის გრძელ ღამეებში, მბჟუტავი ლამფის შუქზე კერავდა დედაჩემი: ომში წასული მამების პალტოებს შვილებს გადაუკეთებდა ხოლმე პალტოებად და შარვლებად. დედების კაბებიდან შვილებს ორ-ორი კაბა გამოსდიოდათ. იშვიათად მინახავს ცალგანი ან ორგანი ჩითი და ბოსტონი. კრეპდეშინი და კოვერკოტი დაეჭრას კაბებად, პერანგებად, პალტოებად, შარვლებად.

ვერ ვიტყვი, როდისღა ეძინა დედაჩემს: ძილ-ღვიძილში ნანასავით ჩამესმოდა ჩვენი საკერავი მანქანის ჩხრიალი, გავიღვიძებდი და ოთახში ეს ხმაური იდგა ისევ; გარეთ თოვდა, ციოდა, ციოდა ოთახშიც, მაგრამ ბედნიერება ის იყო, რომ ჩვენი სახლის კრამიტი თოვლს იატაკამდე არ უშვებდა.

გატყდებოდა ღამე და სახელურის ტრიალით ხელიც ეღლებოდა დედაჩემს. მუხლებზე მოხვეულ შალს მოიხსნიდა, მხრებზე წამოსხმულ პალტოსაც გაისწორებდა, ოთახში გულხელდაკრეფილი გაივლგამოივლიდა, ბოლოს ფრთხილად შემატოკებდა:

— გაიღვიძე, შვილო.

შევიშმუშნებოდი.

— გაიღვიძე, გენაცვალე, შვილო.

ძლივს დავუსხლტებოდი ძილს, მუჭით ვისრესდი თვალებს:

— რა გინდა, ე?

— ადე, შვილო, ხელი დამეღალა, მანქანა დამიტრიალე.

— რო მეძინება? — გვერდს ვიცვლიდი.

— რა ვქნა! — წუხდა დედაჩემი, — ამ ერთხელაც მომეხმარე, შვილო! — მევედრებოდა და მემუდარებოდა, — ოღონდ მომეხმარე და ფეხსაცმელებს გიყიდი, შვილო. გუშინ სიკო მეუბნებოდა, ნეტავი ერთი გაჩვენა, რა საუცხოო ფეხსაცმელი მივიღეთ, გეგონება, შენი ბიჭისთვის გამოუგზავნიათ, ისეა ზედგამოჭრილიო.

წამოვხტებოდი მაშინვე. შემფუთნიდა, საბანსაც მომახურავდა და ასე, თოჯინასავით დამასკუპებდა მაგიდასთან, გაყინულ ოთახში. შეშას მე ვეზიდებოდი. გუდურების აწევ-დაწევით მხრები მქონდა გადათქლეშილი და ცოდვით ვერ უკეთებდნენ ღუმელს.

ვატრიალებდი საკერავ მანქანას და ლამაზ, პრიალა ფეხსაცმელზე ვფიქრობდი.

ძილი რომ არ მომრეოდა, დედაჩემი ჩვენი საკერავი მანქანის ამბავს მიყვებოდა ხოლმე:

— ამ მანქანაში, შვილო, ნიკოლოზის დროს, ჩემი საკერავით აღებული თხუთმეტი კოდი დარკვეული ხორბალი მივეცი ქალაქელ ტიგრანა ვაჭარს. ხორბლის წასაღებად რომ მოვიდა ვაჭარი, პირჯვარი გადაისახა, რა არის კაცო, შვინდის მარცვლებიაო! ახლა ამ მანქანაში ორ კოდსაც არავინ მომაშავებს. ნეტამც იმ ბედნიერ დროს! მამაშენი ლექსად მიგზავნიდა წერილებს, ცოლად გამომყევიო. უარზე ვიდექი, სად შენ, მასწავლებელი და სად მე, მკერავი, ხალხი რას იტყვის-მეთქი. ხალხს რას უყურებ, ხალხმა ლაპარაკის მეტი რა იცისო. დავუჯერე და გამოვყევი. ლაგოდეხიდან ფაიტონით გამომიყვანა. მოვდიოდით და მოგვაცილებდნენ ღობეზე მომდგარი სოფლელები... რა ბედნიერი ვიყავი, ღმერთო! საწყალი, მამაშენი! — შეხედავდა მამაჩემის სურათს და ცრემლიან თვალს მომაშორებდა, ამოიოხრებდა, რა დაგიშავე, შე საცოდაო, რატომ დამღუპე და დამაქციეო.

დედაჩემი თავის ახალგაზრდობას მისტიროდა, მე კი იმაზე ვფიქრობდი, ახლა თხუთმეტი კოდი პური რომ გვქონდეს, სად დავატევდით, ან ისე სად შევინახავდით, ამდენი თაგვისათვის რომ დაგვემალა-მეთქი.

ვატრიალებდი მანქანას და ამ ტრიალში თენდებოდა კიდეც. გათენდებოდა და სკოლაში მივდიოდი — უძილობისა და დაღლილობისაგან გაკვეთილზე მეყვინთებოდა, მაგრამ ამაზე არაფერს მეუბნებოდნენ მასწავლებლები.

შოთებს მოიტანდა სტუმარი და მიჭქონდა საკერავი. მაშინ პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა



11813

იყო ყველაფერი: ჩვენი საკლასო ოთახი, ქალაქიდან გამოგზავნილი ჩემი დების წერილი („დედი, ტანსაცმელი სულ შემოგვაძვა, საჭმელიც გამოგველია“), ფოსტალიონის ჩანთა, ვენახის მწკრივები, დედის სიცილი, ღუმელზე შედგმული ქვაბ-ქოთანი, და შოთებიც პატარა იყო მაშინ.

— არაფერია, — გვამხნევებდა დედაჩემი, — დამთავრდება ომი და ბიძები დაგიბრუნდებიან, ჩვენც გვეშველება, შვილო.

მაგრამ ოთხივე ბიძა მსოფლიო ომში დამეღუპა.

ჩვენი საკერავი მანქანის ჩხრიალში გადიოდა წლები.

ჩემი დების სანახავად ქალაქში ხშირად ჩადიოდა დედაჩემი. იმ დროს ზოგჯერ მე და ბებიაც არ ვიყავით შინ. მაშინ ჩვენ საკერავ მანქანას მამაკაციან მეზობელს მივაბარებდით ხოლმე. ომმა გაჭირვებისა და სიკვდილის გარდა ქურდობაც მოგვიტანა, ემანდ არავინ დაგვღუპოს, არ მოგვპარონო. ამით სარგებლობდა ის მეზობელი: იცოდა თუ არ იცოდა, მაინც აწვალებდა მანქანას. შინ რომ მოვიტანდით, ნახავდა დედაჩემი და გულს შემოეყრებოდა: ხან სახელური ჰქონდა მორყეული, ხან — მაქო ამოვარდნილი, ხან ძაფსა სწყვეტდა... ათას ოხრობას დამართებდნენ, ჩვენ კი ხმას არ ვიღებდით, სხვა დროს შენახვაზე უარი არ გვითხრასო.

ოთხი წელი გავიდა და გუდურების ზიდვით გადათქლეშილი მხრები მომიშუშდა. სკოლაში თეთრ, პრიალა ქაღალდზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები დაგვირიგეს. აღარც რვეული იშრობდა მელანს.

დედაჩემი ისევ უჯდა საკერავს, მაგრამ ღამეებს აღარ უთევდა, მეც აღარ მეყვინთებოდა პირველ გაკვეთილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლაც საწოლი ოთახის ფანჯრის რაფაზე დევს ჩვენი საკერავი მანქანა. რომ დავინახავ, უსიამოდ შემაჟრიალებს ხოლმე.

დაბერდა დედაჩემი, წელში მოიხარა, თვალთ დააკლდა, ისე დაპატარავდა, დაცოტავდა, კინაღამ ნემსის ყუნწში გაეტევა.

დაბერდა ჩვენი მარჩენალი საკერავი მანქანაც: სახურავი დაუჭიანდა, გაიცრიცა, ფერი გადაუვიდა: ძლივსღა ამოიკითხავ: „Singer". დაპატარავდა ჩვენი საკერავი მანქანა, ისიც ჩაფიქრებია გარდასულ დღეებს და იხსენებს: რამდენი წვალება, ჯახირი გადაიტანა. ეს ყველაფერი ღირს გახსენებად, რაკი გაამართლა საკუთარი არსებობა: სიცოცხლე შეუნარჩუნა ადამიანებს. ომის დროს ადამიანებს რკინის ნიაღვარი სპობდა, მან კი, ამ ცივმა რკინამ, ადამიანებს არ მოაკლო ღიმილი და თბილი პური, რაც ასე აუცილებელია არსებობისათვის...

ომის დამთავრების პირველსავე წელს, რაღაც ნაწილი მოეშალა ჩვენს საკერავ მანქანას. სად არ იყო დედაჩემი, რომელ განთქმულ ხელოსანს არ გაასინჯა, მაგრამ მთელი ორი წლის განმავლობაში ძლივს გაუგეს სატკივარი. ამაზე ეცინებოდა დედაჩემს: ახლა ავადმყოფობა ამასაც ეპატიებაო. და ბავშვივით ეფერებოდა, ჩვენი საცოდავი მანქანაო, ჩვენი საყვარელი მანქანაო. სული გეთხოვათ, არ დაგიჯერდათ, ოღონდ არ გეხსენებინათ მანქანა — შვილი რომ მოგენათლა, არ გაგატანდა, ერთი წუთით, ერთი ცხვირსახოცის ამოსახვევადაც კი.

სხვა ხარ ჩვენთვის, გარჯა-ჯაფით, დროის სიმკაცრით დაღლილო და დაბერებულო მანქანავ. ის გაჭირვებაც სხვა იყო, შენ რომ გადაგვატანინე. ის დარდიც სხვაა, შენი დანახვით რომ შემოგვაწვება ხოლმე.

დღეს დედაჩემი ჭრელ-ჭრელი ნაჭრებისაგან თავის პატარა შვილიშვილებს გასართობად ტანსაცმელს რომ უკერავს ხელის კანკალით, თვალი კარისაკენ უჭირავს, ჩვენიანი არავინ მოგვაწყდეს, არ დამინახოს და არ მთხოვოს, ჩემიანებსაც შეუკერეო. ჭირის დღესავით სძულს მანქანის ჩხრიალის გაგონება, ძაფიანი ნემსისა და სამკერვალოს დანახვა. შეუკერავს შვილიშვილებს ტანსაცმელს და ათასჯერ მაინც უნდა დაგვაფიცოს მამის სული, არავისთან წამოგცდეთ, ჩემი შეკერილი თუაო...

შემოდგომაზე დედმამიშვილები სოფელში მოვიყრით ხოლმე თავს, რთველში მაინც მოვეხმაროთ დედაჩვენსაო. არ გვინდა, მაგრამ ჩასვლისთანავე საკერავ მანქანას გავიხსენებთ ფიქრში, თვალს შევავლებთ და დავღონდებით — ჩავლილი ყინვა, სიშიშვლე და ცარიელი საპური გვახსენდება. გვახსენდება დედაჩვენის შეხვეული მაჯა, უძილო ღამეები და საკუთარ შვილებს ვუბღვერით, რომლებმაც „არაშიას" მეტი ვერაფერი ისწავლეს ჯერჯერობით. ჩვენ კი ვშრომობთ, თუნდაც იმიტომ, რომ ერთი შოთი აღარ გავყოთ ხუთად. ეს მხოლოდ გულში, ხმამაღლა კი სხვას ვამბობთ და არც მაშინ ვტყუით, ვინაიდან ოჯახის სიყვარული და ბედნიერება, ეს მამულის სიყვარული და ბედნიერებაა. სამშობლო ეს ჩვენ ვართ: მოხუცები, ჭარმაგები, ახალგაზრდები და ჩვილები. სამშობლო — ეს დაკარგული საფლავებია, სამშობლო ჩვენი მამა-პაპის საფლავებია...

ასე, ფიქრში წასულები რომ ვსხედვართ, დედაჩემი იტყვის:

— ვინ წაიღებს ჩვენს საკერავს მანქანას? — იტყვის და ბავშვების სიცილი ეზოში იჭრება.

ერთმანეთს გადავხედავთ შვილები. მაშინ უფროსიდან იწყებს დედაჩემი:

— შენ წაიღე.

— არ მინდა, მე აკი შარშან ვიყიდე?

— შენ წაგეღო! — შუათანას ეუბნება.

— მეც ხომ მაქვს, აღარ გახსოვს, როდის ვიყიდე?

ჩემი ჯერიც დადგება:

— შენს უფროს გოგოს უნდა ვაჩუქო.

— ვითომ რატომ. ამ ჭერქვეშ დარჩეს, დარჩეს როგორც მოსაგონარი იმ დაწყევლილი დროისა. ამ ოჯახზე აქვს ამაგი და აქ დარჩეს, როგორც განძი ძვირფასი, მაგრამ შეუფასებელი. ასეა, დედაჩემო!

ეს უბრალო, გამამართლებელი საბუთია იმისი, რომ უარი ვთქვა მანქანაზე. არავის არ გვინდა: ძნელია შეხედო და ყოველ წუთს გაიხსენო ის, რის დავიწყებასაც ასე ცდილობ.

ისევ დედის ჭერქვეშ დარჩეს, მან უყუროს, მან გაიხსენოს უხუნებელი წარსული; რა უშავს, დედები ხომ საერთოდ ყველაფერს იტანენ!

რუთა ბეროძე

## დარიალის ხეობაში

თერგი მორბის, ცერა-ცერა
ცეკვავს ქართულ ილეთებით,
საქართველოს ბედისწერას
მოიმღერის შმაგი თერგი.
კობის ზემოთ მუქად მიმზერს
მოლუშული კლდე-ქანები,
კლდედ აქციეს ბუხაიძე,
მტერსაც მისთვის არ დავნებდით.
არწივების ფრთების დარად
დაკბილულან ციცაბონი,
საიმედოდ დაუფარავთ
კავკასიის მისადგომი.
გამაოცა ნისლის თმებმა,
როცა ირგვლივ დარი არი...
ო, რამდენი იცრიცება
მანდილები დარიალში!
ეს იმ გმირთა სატრფოებმა
გაატანეს ქარაშოტებს,
ვისაც დღესაც მოელიან
და არ მოვლენ არასოდეს.

ვასილ ლაფერაშვილი

## დედა

ის ვინ იყო, შენს თვალებში
პირველად რომ ჩაიხედა?
— დედა!
ვინ იყო, რომ სამშობლოსთვის
სიყვარული დაგიბედა?
— დედა!
ვინ იყო, რომ დღე და ღამე
გზრდიდა სპეტაკ, ლამაზ გედად?
— დედა!
ვინ იყო, რომ უშენობა
მისთვის იყო მძიმე ხვედა?
— დედა!
ვინ არის, რომ დაგღუღუნებს,
შენთვის იქცა ცისფერ მტრედად?
— დედა!
ვინ არის, რომ სიცხადეში
და სიზმარშიც შენა გხედავს?
— დედა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დიდ სამამულო ომში 414-ე წითელდროშოვანი ქართული დივიზიის სამედიცინო-სანიტარული ათასეულის საბრძოლო საქმეებს ამ ქართველი ქალების თავდადებაც აცისკროვნებს.**



ე ლ ე ნ ე  ბ უ ა ძ ე სამამულო ომის დაწყებამდე ქ. თბილისში, დედათა და ბავშვთა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა ექთნად. 1942 წლის ნოემბერში პირველი საბრძოლო ნათლობა სადგურ იშორსკაიასთან მიიღო. მტერი ძლიერ საარტილერიო ცეცხლს უშენდა დივიზიის განაყოფებს. სამხედრო-საველე კარვებში მოთავსებულ დაჭრილებს საფრთხე ელოდათ. ელენემ სხვა სანიტრებთან ერთად დაჭრილი მებრძოლები დროულად გადაიყვანა სანგრებში და ათეულობით საბჭოთა მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ელენე თავმდაბლობით, კეთილშობილებითა და თავაზიანობით ხიბლავდა თანამებრძოლებს.



სამედიცინო ტექნიკუმის კურსდამთავრებული ი უ ლ ი ა  შ უ ბ ლ ა ძ ე-გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მონაწილეობდა იშორსკაიას, ზოლატარიოვის, კალაბატკის, ანაპის, ტამანის, ქერჩის, სევასტოპოლის ქარცეცხლიან ბრძოლებში. ექთანი-ლეიტენანტი იულია შუბლაძე ტყვიამფრქვევების და ქვემეხების გრიალში თავს დასტრიალებდა დაჭრილ მეომრებს და მათ სიცოცხლეს დარაჯობდა.





ტექსტი
გადამდგარი
მაიორის
პ. ქერქაძისა

თ ა მ ა რ  უ გ უ ზ ა შ ვ ი ლ მ ა ბრძოლით შემოიარა ჩვენი ქვეყანა. მან კარაკუბანიდან კალაბატკამდე ალმოდებულ გზაზე ზურგით გადაიტანა 24 კილოგრამი სამედიცინო პრეპარატი დაჭრილ მებრძოლთა სამკურნალოდ. თამარს ცეცხლის ხაზიდან გამოჰყავდა დაჭრილები და დედობრივად ზრუნავდა მათზე. იგი ხშირად დღეღამეს საოპერაციო მაგიდასთან ასწორებდა. ზრუნავდა მეომართა გამოჯანმრთელების, მათი ნორმალური კვების, სანიტარული პირობების დაცვისათვის. თამარ უგუზაშვილმა მრავალ მებრძოლს დაუბრუნა ჯანმრთელობა.

23 წლის ქალიშვილმა ვ ე ნ ე რ ა  კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე მ 1942 წელს ჩაიცვა მეომრის მაზარა. ვენერას — უფროს მოწყალების დას — ქირურგები თავიანთ „მარჯვენა ხელს" ეძახდნენ. იგი ფრონტული საველე გაზეთების გამოშვებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. გაზეთის ფურცლებიდან ქალიშვილი მეომრებს სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდა.

ომის დამთავრების შემდეგ ვენერამ უმაღლესი განათლება მიიღო და დიდიხანია მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. ახლახან ვენერა კალანდაძე უმწიკვლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომით დაფასებული



ლანჩხუთის რაიონის ცენტრიდან დასავლეთით ფართო ასფალტიანი გზა მიდის. ამ გზით რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ სოფელ ლესას — შესანიშნავი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მამია გურიელის სამშობლოს მიადგებით. ლესაში შესვლისთანავე იგრძნობთ აქაური გამრჯე კაცის მარჯვენის მადლს.

თვალს მოგტაცებთ კლუბ-კანტორის, სასოფლო საბჭოს, საშუალო სკოლის, აფთიაქის, მაღაზიის და სხვა დაწესებულებათა კაპიტალური შენობები. სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, ელექტროგანათებით. თითქმის ყველა ოჯახს აქვს გაზქურა, ტელევიზორი, თანამედროვე დგამ-ავეჯი და სხვა.

მაგრამ ლესელებს ყველაზე მეტად თავიანთი სახელოვანი შვილები ეამაყებათ. ზოგი მათგანი მთელ რესპუბლიკაში ცნობილი ადამიანია: სოციალისტური შრომის გმირი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი...

სოფლის სიხარული და იმედი ახალგაზრდობაა. ისინი სოფელში ხალისსა და ბედნიერებას ამკვიდრებენ, ხვავსა და დოვლათს ამრავლებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი იმნაძეს თუ მოწინავეებზე შეეკითხებით, მაშინვე ახალგაზრდა მეჩაიეს მზევინარ პატარაიას დაგისახელებთ.

— არა, მოწინავე მკრეფავები ბლომად გვყავს. — გეტყვით გიორგი, — მაგრამ ეს ქალიშვილი ნამდვილად ოქროს ხელებიანია.

მზევინარ პატარაია რამდენიმე წელია სიმწიფის ატესტატით მოვიდა კოლმეურნეობაში სამუშაოდ და მაშინვე მიიქცია თანასოფლელთა ყურადღება. პირველ წელს გაპიროვნებული 0,2 ჰექტარი პლანტაციიდან 2.910 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა და გეგმას 1.810 კილოგრამით გადააჭარბა. 1970 წელს 0,3 ჰექტარი ფართობიდან 3.560 კილოგრამი ფოთოლი მოიწია, ხოლო 1971 წელს — 4.200 კილოგრამი. ლესელებმა იციან მისი წარმატების საიდუმლოება. პატარაიების ოჯახს ჩაის კრეფის მდიდარი ტრადიცია აქვს.

რვა და-ძმის მეცალე მზევინარი, ბავშვობიდანვე ადევნებდა თვალს დებისა და დედის პლანტაციაში მუშაობას. სწავლისაგან თავისუფად დროს გოგონა ხშირად დაჰყავდათ სამუშაოზე, სადაც პლანტაციის სწორ დამუშავებასა და კრეფის წესებს ეჩვეოდა. შემდეგ შრომამ და გამოცდილებამ კიდევ უფრო ღრმად ჩაახედა ფოთლის კრეფის საიდუმლოებაში. მზევინარი მთელი წლის მანძილზე სათუთად უვლის ჩაის პლანტაციას, ამდიდრებს სხვადასხვა სასუქებით, გულდაგულ წმენდს სარეველებისაგან, სხლავს საჭიროებისამებრ — ზოგან მსუბუქად, ზოგან მძიმედ, რაც ფოთლის უწყვეტად შემოსვლის პირობას ქმნის. შემოსულ ფოთოლს კრეფს შეუფერხებლად ყოველგვარ ამინდში, რომ ჩაის ფოთოლს სურნელება და კეთილთვისებები არ დაეკარგოს.

მზევინარ პატარაია რგოლის ხუთ ახალგაზრდა წევრსაც უზიარებს თავის გამოცდილებას, ასწავლის ჩაის მოვლა-პატრონობისა და კრეფის ყველა საიდუმლოებას.

ლესელი ქალიშვილის შრომა სათანადოდ არის დაფასებული. იგი არაერთხელ დაუჯილდოებიათ ფასიანი საჩუქრებით, ქებას სიგელით, არის სასოფლო საბჭოს დეპუტატი, მკერდს უმშვენებს ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედალი.

წელს ახალი მიზნები აქვს მზევინარს: ფიქრობს გაპიროვნებული ფართობიდან მოკრიფოს 5 ტონა ჩაის ფოთოლი.

ალბათ შეასრულებს, რადგან მისი სიტყვა და საქმე ერთია.

რ. ლორია

# ჩვენი

იმ დღეს მთელი რაიონი მოსულიყო მასთან გამოსამშვიდობებლად. ყველა გულწრფელად გლოვობდა მის დაკარგვას. ჩვენი სათაყვანებელი ქალი, ქალი — მასწავლებელი, ქალი — დედა, ქალი — ყველას ნუგეში და იმედი, დადუმებული ესვენა კუბოში და მთელი რაიონი დასტიროდა. უამრავი ყვავილი, უამრავი თაიგული... ვიდექი მეც, გაოგნებული, ხელში გაზეთი მეჭირა და მის სურათს დავცქეროდი, გონებით კი შორს, უკან ვიყურებოდი...

მაშინაც უამრავი ხალხი იყო გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დარბაზში. ოცი წლის გოგონა დიდი შავი, სევდიანი თვალებითა და გიშრისფერი ნაწნავით იდგა წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდასთან, ყვავილებს შორის, სახეანთებული, ოდნავ შემკრთალი, ხელში წითელი დიპლომი ეკავა და ამბობდა: „ვეცდები, გავამართლო თქვენი იმედი“. კრძალვითა და მღელვარებით ამბობდა ამ სიტყვებს ქალიშვილი, სიცოცხლის სიყვარულითა და შინაგანი რწმენით სავსეს, მაშინვე სწამდა თავისი ლამაზი, შინაარსიანი ცხოვრებისა.

ერთი თვალის გადავლებით, თითქოს მასი ბიოგრაფია ჩვეულებრივია. დაიბადა ქ. გორში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო გორის პედაგოგიურ სასწავლებელში. ინსტიტუტი რომ დაამთავრა, მუშაობა დაიწყო საქართველოს ალკკ გორის რაიკომში პიონერთა განყოფილების გამგედ, შემდეგ — საქართველოს კპ გორის რაიკომში — მდივნის თანაშემწედ. 1965 წელს გადაიყვანეს გორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1971 წლიდან, სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარო

ცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად. ასეთია მარიამ მახარაშვილის მოკლე ბიოგრაფია, მაგრამ არის დაუწერელი ბიოგრაფიაც, რომელიც მრავალმხრივ საგულისხმო, მისაბაძი და ყურადსაღებია.

ეს იყო მისი ყოველდღიური საქმიანობა, ადამიანებთან მისი დამოკიდებულება. მასთან მიდიოდნენ რჩევისთვის, შუამდგომლობისთვის, დახმარებისთვის და როცა მაროს გულისხმიერებით კმაყოფილნი, მადლობას ეუბნებოდნენ, ბავშვივით წითლდებოდა, დიდი ადამიანური სითბოსათვის საზღაურს არ თხოულობდა.

ბევრჯერ ვყოფილვარ მასთან კაბინეტში. მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ოთახში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. მაგრამ მაშინაც, როცა კაბინეტში მარტო იჯდა, ადამიანებზე ზრუნვითა და ფიქრით იყო დატვირთული. მისი ცხოვრების მაგალითზე ბევრს უსწავლია, როგორი უნდა იყოს ქალი, ადამიანი, საზოგადო მოღვაწე, ის ყველას მეგობარი იყო, დიდთან — დიდი, პატარასთან — პატარა.

ყველას ერთნაირად უყვარს სიცოცხლე, მაგრამ სხვადასხვანაირად გრძნობენ და განიცდიან მას. **ზოგისთვის ცხოვრება კარგია** იმიტომ, რომ სიხარული მოაქვს, ზოგი კი ცდილობს სხვას მოუტანოს ბედნიერება და ამ ზრუნვაში ხედავს თავისი სიცოცხლის მიზანს. ყველა თავისებურად აზროვნებს და სხვადასხვანაირად ალამაზებს ცხოვრებას...

მახსენდება ერთი შემთხვევა: **1968** წლის 7 ოქტომბერს ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ჟ. ე.-მ თავისი ჩვილი ბავშვი ქუჩაში დატოვა და თვითონ მიიმალა. კეთილმა ადამიანებმა გრძნობადაკარგული ბიჭუნა გორის ბავშვთა სააღმზრდელო სახლში მოათავსეს. ვნახე, როგორ განიცდიდა მარო ამ ამბავს. — ეს ჩემი და ყველას დანაშაულია, — ამბობდა ის, — ნუთუ, ჩვენს რაიონში არსებობს ასეთი დედა? ისეთი რა გაუჭირდა, რამ ჩაადენინა ეს საშინელება?! სად ვიყავით ჩვენ ყველანი? პატარა ემზარი მისი შვილობილი გახდა. ხშირად, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, საჩუქრებით დატვირთული მარო თავის ვაჟიშვილთან — თემურთან ერთად სააღმზრდელოსაკენ მიიჩქაროდა. ნეტავ გენახათ, როგორი ბედნიერი იყო, როცა გზააბნეულ დედას თავისი დანაშაული შეაგნებინა და უკვე წამოზრდილი ბავშვით სწორ გზაზე დააყენა...

ეს მისი შინაგანი ბუნება იყო — გულგრილად ვერ აუვლიდა გზასაცდენილს. კომკავშირელი ლ. მ. სექტანტებმა ჩაითრიეს. გოგონამ დაკარგა ცხოვრების ხალისი, არც კინოში დადიოდა, არც თეატრში, არც მეგობრებთან. ყველას ჩამოშორდა, ჩამოხმა, გაყვითლდა. თანდათან მტკიცდებოდა მასში აზრი „ამქვეყნიური ცხოვრების არარაობის“ შესახებ. რამდენი საათი, რამდენი დღე დაკარგა მასთან მარომ, მიზანს კი მაინც მიაღწია — გოგონა დაუბრუნდა ცხოვრებას. მე მინახავს მაროს დიდი, შავი თვალები, გაბრწყინვებულ-გაშუქებული, როცა ამ გოგონას წერილს კითხულობდა: „ჩემო ძვირფასო ადამიანო, მარო მასწავლებელო, ერთადერთი ბედნიერება ამ ქვეყნიური ცხოვრება ყოფილა, შრომითა და მიღწევებით სავსე ცხოვრება, რომლისთვისაც ღირს თავის დადება და სიცოცხლის განწირვაც“.

მსგავსი შემთხვევები ბევრი იყო მარიამ მახარაშვილის ცხოვრებაში. ყველას და ყველაფერს წვდებოდა მისი თვალი და გონება. იცოდა, სად რა შენდებოდა, რა კეთდებოდა, სად უჭირდათ და სად ულხინდათ. არ არსებობს გორის რაიონის სოფლებში ბილიკიც კი, მაროს რომ ფეხი არ დაედგას. იცოდა, რამდენმა კოლმეურნემ აიშენა სახლი, რამდენს სჭირდებოდა დახმარება, რომელ სკოლას თუ სოფლის კლუბს რა საზრუნავი ჰქონდა, მის თვალწინ შლიდა ფრთებს გორის რაიონი, ხვავი და დოვლათი ემატებოდა. მას ყოველთვის სწამდა, რომ მასზე დაკისრებული პატარა საქმე საერთო დიდი საქმის განუყოფელი ნაწილი იყო.

არ შეიძლებოდა, ერთხელ მაინც გენახათ და სამუდამოდ არ ჩაგბეჭდოდათ მეხსიერებაში მისი მადლიანი სახე. არ შეიძლებოდა თვალყური გედევნებინათ მისი უანგარო საქმიანობისათვის და გული სიამაყით არ აგვსებოდათ. ხალხის სამსახური იყო მაროს ფიქრის, ოცნების, სიყვარულის, შრომისა და შემოქმედების საგანი.

მებრძოლი, პარტიის საქმისათვის თავდადებული კომუნისტი, კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი, — ასეთი გვემახსოვრება მუდამ მარიამ მახარაშვილი.

მაყვალა ოქროპირიძე

# ჩვენ გვწერენ

* * *

უამინდობის დროს კოლმეურნე ქალებს ტყავის ფეხსაცმელებით გვიჭირს საკოლმეურნეო ფართობში მუშაობა. წვიმაში და ტალახში ყველაზე კარგი მოსახმარი კალოში და რეზინის ჩექმებია, მაგრამ ეს ძალზე საჭირო საქონელი, განსაკუთრებით კალოში, რატომღაც დეფიციტი გახდა. როცა მაღაზიაში კალოშებს მოვიკითხავთ, ზოგიერთი გამყიდველი გვემასხრება კიდეც:

— რით ვერ გაიგე, ქალო, კოსმოსის ხანაში კალოშის ჩაცმა რომ სირცხვილია. ლაქის ტუფლი ჩაიცვი და იმით იარე!

ლაქის ფეხსაცმელი დიახაც გვაქვს, მაგრამ კალოში და რეზინის ჩექმა აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის. ამის შესახებ არა ერთხელ მივმართეთ სავაჭრო დაწესებულებებს. ჯერჯერობით შედეგი არა ჩანს.

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ თქვენ გვიშუამდგომლოთ სათანადო წარმოების წინაშე. ეგებ დაგვადგეს საშველი.

ბ. ტაბატაძე,
ორჯონიკიძე.

* * *

მახსოვს, ბებიაჩემი ნახშირით გაახურებდა ხოლმე უთოს, კაბას და ბაფთებს ისე გამიუთოებდა, სულ ტკიცინ-ტკიცინი გაჰქონდა. მერე დედაჩემი ხმარობდა იმ დალოცვილ უთოს და მუდამ კმაყოფილი იყო მისი. როცა დედა მოხუცდა, უთო მე გადმომილოცა, მაგრამ მალე ელექტრონის უთო გამოვიდა და ძველ უთოს სანაგვე ყუთში გადავუძახე. ახალ უთოს, რა თქმა უნდა, ვუფრთხილდებოდი, გაპრიალებული მედო თაროზე, მაგრამ ყველაფერს ხომ თავის დრო აქვს და ხმარებისაგან უთოც გაიცვითა და გადაიწვა. მაშინვე მაღაზიას მივაშურე, მაგრამ მთელი თბილისი შემოვიარე და უთოს სახსენებელი არსად იყო. იმედი მაინც არ დამიკარგავს, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც გამოჩნდებოდა, მაგრამ ამაოდ! გავიდა თვეები, წლებიც, უთო კი არსადაა, ამ წლების მანძილზე ჩემი გადამწვარი უთო ოცჯერ მაინც შევაკეთებინე. ბოლოს, როცა უთოს შესაკეთებლად გაღებული თანხა შევაჯამე, აღმოჩნდა, რომ ამ ფულით ოცზე მეტ ახალ უთოს შევიძენდი.

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ თქვენ მაინც დაგვეხმაროთ და გაგვარკვიოთ, სად გაჰქრა უთოები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საოჯახო კლუბი

### ვპასუხობთ მკითხველებს

# ვენების ვარიკოზული გაგანიერება

წვივისა და ბარძაყის კანქვეშა მსხვილი ვენების ვარიკოზული ანუ კვანძოვანი გაგანიერება საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა. იგი უმთავრესად 30-50 წლის ასაკში ემართებათ. მრავალი კვლევა-ძიების მიუხედავად, მისი განვითარების მექანიზმი დღესაც არ არის მთლიანად დადგენილი. ფიქრობენ, რომ დაავადების აღმოცენებას ხელს უწყობს მძიმე ფიზიკური შრომა, ხანგრძლივად ფეხზე დგომა, ორსულობა, ინფექცია და ინტოქსიკაცია. აღნიშნული ფაქტორების მოქმედების შედეგად შეიძლება დაზიანდეს ვენის კედლის კუნთოვანი ბოჭკოები, რის გამოც დაავადებული ვენა განივრდება, კარგავს თავის ტონუსს (დაჭიმულობას), ხოლო მის სანათურში მოთავსებული სარქველების ფუნქციის ერთდროული მოშლა იწვევს კიდურის ვენებში წნევის ძლიერ მომატებას, სისხლის შეგუბებას და ვენური ნაკადის სისწრაფის შენელებას, რაც ანვითარებს ვარიკოზულ გაგანიერებას. დამტკიცებულია, რომ ხანგრძლივად ფეხზე დგომისას ვენური წნევა 5-8 ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე წოლისას. გაგანიერებულ ვენებში კი წნევა ისედაც 12-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საღ ვენებში, ასე რომ, ავადმყოფის ხანგრძლივი ფეხზე დგომა კიდევ უფრო ამწვავებს დაავადებას.

ქვემო კიდურების ვენები ორგვარია: კანქვეშა ანუ ზერელე და ღრმა ვენები. ეს უკანასკნელი მოთავსებულია კუნთებს შორის. ამ ვენებს შორის კავშირს ანხორციელებს შემაკავშირებელი (კომუნიკაციური) ვენება, რომელთა უმრავლესობას სარქველები აქვს გახსნილი ღრმა ვენების მიმართულებით.

კუნთების შეკუმშვის შედეგად, სისხლი ღრმა ვენებით ყოველთვის გულისაკენ მადის, ზერელე ვენების სისხლი კი, ამ დროს წნევის სხვაობის გამო ღრმა ვენებში ჩადის. ვარიკოზულ ვენებში სისხლის ცირკულაცია დარღვეულია და ამიტომ, კუნთების შეკუმშვის შემდეგ, სისხლის გარკვეული ნაწილი გულისაკენ კი აღარ მიდის, არამედ — ტერფისაკენ და ზერელე ვენებში, რის შედეგადაც ისინიც განიერდება, გრძელდება და ზოგჯერ გველივით იკლაკნება, რაც თვალითაც კარგად ჩანს, როცა ავადმყოფი ფეხზე დგას.

ვარიკოზული გაგანიერება თავიდან თითქმის უსიმპტომოდ მიმდინარეობს. გარედან ჩანს დაავადებული კიდურის, კანქვეშა ვენების უმნიშვნელო დეფორმაცია, მალე ამას მოყვება შეშუპება კოჭ-წვივის სახსართან. შეშუპება განსაკუთრებით იმატებს საღამოს, დილით კი ფეხი დასვენების შემდეგ კვლავ დამცხრალია.

შემდეგში ავადმყოფი უკვე ფეხებში სიმძიმესა და სწრაფ დაღლას უჩივის, ვითარდება კანჭის კუნთების პერიოდული კრუნჩხვები, რაც უცაბედი, ძლიერი ტკივილის სახით შეიგრძნობა („ფეხის ძარღვი გამენასკვაო" — იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში).

დაავადების მეორე სტადიაში ავადმყოფი კიდურში მუდმივ ტკივილს და ქავილს გრძნობს, ამჩნევს კანზე რუხ პიგმენტაციას, კანისა და კანქვეშა ქსოვილის ანთებას, გათხელებულ კანთან ვარიკოზული კვანძების შეზრდას.

გართულებების სტადიაში ვარიკოზული წყლულები წვივის ქვემოთ, მის შიგნითა ზედაპირზე ვითარდება. ვარიკოზული წყლულიდან ან გამსკდარი კვანძიდან, ტრავმის ან ანთების შედეგად, ზოგჯერ სისხლის დენაც ვითარდება.

ამ დაავადების სერიოზული გართულებაა თრომბოფლებიტი, რადგან ვენის ანთებას მის სანათურში თრომბის წარმოშობა მოჰყვება — ტკივილები ძლიერდება, ტემპერატურა მაღლა იწევს, კანქვეშ მტკივნეული ინფილტრატები ყალიბდება, კანი წითლდება და ცხელდება. ამ დროს რეგიონული ლიმფური კვანძები შესივებულია.

დაავადების გართულებისთანავე ავადმყოფმა სასწრაფოდ უნდა მიმართოს ექიმს, რადგან გართულებას ხშირად ორგანიზმში ინფექციის შეჭრა იწვევს. ავადმყოფს ტერფები ყოველთვის სუფთად უნდა ჰქონდეს, ერიდოს კანის დაზიანებას — გაკაწვრას, სოკოვან დაავადებას და სხვა.

**ვენების ვარიკოზული გაგანიერების თავიდან აცილება ყოველთვის არ ხერხდება, მაგრამ დაავადების გართულების აცილება სავსებით შესაძლებელია!**

დაავადების დასაწყისში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვას. ავადმყოფი უნდა ერიდოს ხანგრძლივად ფეხზე დგომას და ჯდომას. ვისაც, პროფესიის გამო, ხანგრძლივად უხდება ჯდომა, მან დაავადებული ფეხი სკამზე ან სპეციალურ დანადგარზე უნდა შემოდოს, ორ საათში ერთხელ მაინც ფეხზე წამოდგეს და 10-12-ჯერ აიწიოს ფეხის ცერებზე. სხეულის ასეთი მოძრაობა ხელს უშლის სისხლის შეგუბებას ქვემო კიდურებში.

დაავადებულმა ქალებმა არ უნდა იხმარონ წინდის დასამაგრებელი მრგვალი რეზინები. უნდა ერიდონ ძალიან მაღალქუსლიან ფეხსაცმელს; ვისაც ბრტყელი ტერფი აქვს, სასურველია ატაროს სუპინატორი. ძალიან კარგია ელასტიური წინდების ხმარება და დაავადებული კიდურის დაბანდვა. მხოლოდ საჭიროა მათი ხმარების წესების ცოდნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ავადმყოფს სარგებლობას ვერ მოუტანს.

ელასტიური წინდის ზომა ასე უნდა განვსაზღვროთ: დილით ადგომის წინ, ლოგინშივე (სანამ კიდური არ შეშუპებულა) სანტიმეტრით უნდა გავზომოთ წვივის შუა მესამედი (ყველაზე ფართო ნაწილი), მიღებულ ციფრს გამოვაკლოთ 4, მიღებული სხვაობა გავყოთ 2-ზე. მაგალითად: წვივის გარშემოწერილობა თუ უდრის 36 სმ ძას ვაკლებთ 4. 32 სმ ვყოფთ 2–ზე, მივიღებთ 16 სმ. ამ ციფრით აფთიაქში, სპეციალურ ტაბელში ნახავთ საჭირო ნომერს ჩვენი მაგალითისათვის, იგი № 11-ია.

ავადმყოფმა ელასტიური წინდა დილით ლოგინიდან წამოდგომამდე უნდა ჩაიცვას, ძილის წინ კი გაიხადოს და კიდური ჩამოიბანოს თბილი წყლით და საპნით. წინდის ტარებას ავადმყოფი უნდა შეეჩვიოს; თუ ტკივილი ან უსიამოვნო შეგრძნება ექნება, მაშინ წინდა უნდა ატაროს 3-4 საათს პირველ დღეებში.

ელასტიური ბინტიც დილით უნდა დავიხვიოთ ლოგინში ჯდომის დროს, რისთვისაც კიდური ოდნავ უნდა ავწიოთ. დაბანდვას ვიწყებთ ტერფიდან, თითების ფუძეებიდან მუხლამდე. ბინტის მეორე ხვეული ფარავს ტერფს, შემდეგ იგი რვისებრი ხვეულის მსგავსად გადაევლება კოჭ-წვივის სახსარს (ქუსლი ღიად რჩება), აიტანება წვივზე მუხლამდე ისე, რომ ყოველმა მომდევნო ხვეულმა დაფაროს წინა ხვეულის ერთი მესამედი მაინც (კრამიტის დალაგების მსგავსად) ზედდაწოლით, მაგრამ ყოველგვარი გადაჭერის გარეშე! თუ ბარძაყის ვენებიც გაგანიერებულია, მაშინ საჭიროა მეორე ბინტიც, რომელიც დაიხვევა მუხლის ზემო ნაწილიდან საზარდულამდე. ასეთ ბინტს მთელი დღის განმავლობაში ატარებენ.

სულ ბოლო, დეკომპენსაციის სტადიაში საჭირო ხდება ვენების ამოკვეთა ან მასკლეროზირებული საშუალებების შეყვანა ვენებში. თუ კვანძები დიდი არ არის და არც კანთანაა შეზრდილი, მაშინ ოპერაციული ჩარევა და ნემსებით მკურნალობის დაპირისპირება უსაფუძვლოა, ვინაიდან ორივე წესს თავისი ჩვენება და პირობა აქვს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უფრო უკეთეს შედეგს იძლევა ქირურგიული ჩარევა, რადგან ნემსებით მკურნალობას ხშირად მოსდევს რეციდივები, ვითარდება ახალი სნეულება, ე. წ. პოსტფლებიტური სინდრომი, რომლის მკურნალობა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ვენის ვარიკოზული გაგანიერებისა.

პროფესორი დავით მამამთავრიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის, ვინც ოცს გადააბიჯა

# პალტო-ჟილეტი

მხატვარ მოდელიორებს ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ ისინი მოდებს უმეტესად ახალგაზრდა, ტანადი ქალებისათვის ჰქმნიან. მაგრამ უკანასკნელ ხანს მოდამ წყალობის თვალით გადმოხედა ასაკოვან, ტანსრულ ქალებსაც. ეს უკანასკნელნი კი ხშირად ვერ ამჩნევენ მოდის იმ სიახლეებს, რაც სპეციალურად მათთვის არის გამიზნული, ზოგიერთებს ჩვეული სიზარმაცით, არ სურთ ეს სიახლე დაინახონ და, ხელჩაქნევით ამბობენ, — ეჰ, ამ სისქე ქალს რა მომიხდება!

რა დასამალია, რომ ყოველი მოდა (მითუმეტეს კი — ახალი, რომელსაც მიმზიდველი რეკლამა სჭირდება) ტანწერწეტა ქალებზე გაცილებით უფრო მომხიბლავად და ეფექტურად გამოიყურება.

მაგრამ შედარებით მსუქან ქალებსაც შეუძლიათ მოდურად და ელეგანტურად ჩაიცვან, თუ თვალყურს მიადევნებენ მოდის ცვალებადობას და მოდელიორების რეკომენდაციას დაუჯერებენ.

აი, ერთი მოდური სიახლე — გრძელი ჟაკეტი, ისეთი გრძელი, რომ მას შეიძლება ჟილეტი-პალტოც ვუწოდოთ. ის მშვენივრად ადგას ზომიერად მსუქან ტანს. ჟილეტი-პალტო თვით მოდაა!

ჟილეტი-პალტო კონკურენციას უწევს სარაფანს. თუ სარაფანი ღილებზე და ელვა შესაკრავზე იკვრებოდა, მაგრამ შეიძლებოდა წინ ოდნავ შეხსნილი ყოფილიყო, ჟილეტი-პალტო აუცილებლად წინ გადახსნილი უნდა იყოს.

ის ჩვეულებრივ ჟილეტზე უფრო გრძელია. მისი მოკლე ვარიანტი მინი-კაბის სიგრძის ტოლია, ყველაზე გრძელი — ლამაზს კოჭებს უწევს. მსუქანი ქალებისათვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილია კაბის სიგრძის, ან ორი სანტიმეტრით გრძელი ან მოკლე ჟილეტი-პალტო.

ჟილეტი-პალტო სხვადასხვაგვარი ქსოვილისაგან იკერება. მისი კალთები დაცილებულია, იმიტომ, რომ არ იფრიალოს, საჟილეტე ქსოვილი ძალიან თხელი არ უნდა იყოს.

რადგან ჟილეტი ყოველთვის კომპლექტის ნაწილს შეადგენს, ამიტომ წინდახედულება გამოიჩინეთ და საჟილეტე ქსოვილი ისეთი შეარჩიეთ, რომ ფერით თქვენი გარდერობის სხვა ნივთებს ეხამებოდეს.

მშვენიერია ყაისნაღით ან ჩხირებზე მოქსოვილი ჟილეტი-პალტო. ის თბილი და რბილია და ტანს კოხტად ადგება.

პალტო-ჟილეტი ტომარისებურად სწორი არ შეიკეროთ. ჯობს ის ოდნავ ტანზე მომდგარი იყოს, ბოლოში კი გაგანიერებული.

პალტო-ჟილეტი მხოლოდ ქუჩაში გამოსასვლელი ან სამსახურში სატარებელი ტანსაცმელი როდია. თუ მას ლამაზი, საინტერესო ქსოვილისგან, მაგალითად, მაქმანისაგან შეიკერავთ, ან ყაისნაღით მოიქსოვთ ლამაზი ორნამენტებით, ძალიან დაამშვენებს საგარეო კაბას.

იხ. გარეკანის მე-8 გვ.

# ლაქების ამოყვანა

ღია ფერის ტყავის ხელჩანთები, ფეხსაცმელი და ხელთათმანები კარგად იწმინდება დაფქვილ ყავაში ამოვლებულ სველი ბამბით.

ნატის (ზამშის) დალაქავებული ფეხსაცმელებისა და ხელთათმანების გასაწმენდად ერთმანეთს შეურიეთ 1 წილი ნიშადურის სპირტი და 4 წილი წყალი. ამ ნარევით გაწმენდის შემდეგ, ხელთათმანები ძმრიან წყალში გაავლეთ (1 ჩაის კოვზი ძმარი 1 ლიტრ წყალზე). როცა გაშრება, ნაზად გადაუსვით რეზინის ჯაგრისი ან ზუმფარას ქაღალდი.

თუ ჟანგის ლაქა ახალდამჩნეულია, მისი მოცილება უფრო ადვილია. დალაქავებულ ადგილს გადაუსვით 2 გრ მჟაუნმჟავას მარილის, 20 გრ ძმრისა და 40 გრ წყლის ცხელი ხსნარი. ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ, სანამ ლაქა არ მოშორდება. ბოლოს გაწმენდილი ადგილი გამორეცხეთ საპნითა და წყლით.

თუ ქსოვილს პომადა წაეცხო, ჯერ ცხიმის ლაქა უნდა მოაშოროთ, ამისათვის გაწმინდეთ ბენზინით ან აცეტონით, მერე კი, საღებავის გასაუფერულებლად, გადაუსვით სპირტი ან მათეთრებელი სითხე, შემდეგ გაწმენდილი ადგილი წყლის ნაკადს შეუშვირეთ.

გამხმარი ცილის, აგრეთვე ინის საღებავისა და იოდის ლაქები კარგად იწმინდება ნიშადურითა და წყლით.

რძის ლაქაც ნიშადურსა და წყალს ამოჰყავს, შემდეგ კი გაწმენდილ ადგილს ძმრიანი წყლით ამორეცხავენ.

ქაღალდს რომ ცხიმის ლაქა მოაცილოთ, დააყარეთ დანაყილი ცარცი, შემდეგ ორივე მხრიდან საშრობი დააფარეთ და ერთი დღეღამის განმავლობაში რაიმე სიმძიმის ქვეშ გააჩერეთ.

პარკეტის იატაკს ცხიმის ლაქას მაგნეზიისა და ბენზინის ნარევი აცილებს. ლაქას ეს ფაფა გადაუსვით და რომ შეშრება, შალის ჩვარით გააპრიალეთ.

თუ ტანსაცმელი ყავით ან შოკოლადით დაგილაქავდათ, ჯერ სცადეთ ცივ წყალში გარეული ცოტა გლიცერინით მოაცილოთ (საპონი საჭირო არ არის). თუ ამან არ უშველა, ნიშადურისა და წყლის ნარევით გაწმინდეთ.

ჩაის ლაქა წყალში გახსნილი სპირტით ამოჰყავთ.

# დავამშვენოთ აივნები

თანამედროვე ქალაქისა თუ სოფლის სილამაზეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად გონივრულად და მოხდენილადაა იგი გამწვანებული. დეკორატიული ნარგავები და ყვავილები ჩვენი საცხოვრებელი მასივების მხატვრულ-არქიტექტურული ანსამბლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ამას გარდა, დეკორატიული ნარგავები ადამიანის გამაჯანსაღებელი საშუალებაა, სისუფთავისა და სიგრილის წყარო.

ყვავილი აფაქიზებს ადამიანის სულიერ სამყაროს. ყვავილი ბუნების ღიმილია, ულამაზესი ქმნილება, ჩვენი სიცოცხლის განუყრელი თანამგზავრია.

ყველას გვიყვარს მშობლიური ქალაქი და ვამაყობთ მისი სილამაზით. ვის არ სურს კიდევ უფრო დამშვენებული იხილოს იგი? საცხოვრებელ შენობათა ლოჯიებისა და აივნების გამწვანება ქუჩის საუკეთესო მორთულობაა. უყვავილოდ შენობა მოწყენილია, ცივია.

ჩვენს ქალაქში ბევრი სახლი მოგტაცებთ თვალს. როგორ ამშვენებს მათ ფასადს გემოვნებით შერჩეული და შეხამებული მრავალწლოვანი და მარადმწვანე ხვიარა და ყვავილოვანი მცენარეებით შემკული აივნები, კედლები, სვეტები, კარისა და ფანჯრის ჩარჩოები. ყოველი მათგანი თავისებური მინიატურული პეიზაჟია. არ შეიძლება გულგრილად ჩაუაროთ, რომ არ შეჩერდეთ და მადლიერების გრძნობა არ აღგეძრათ მათ მიმართ, ვინც ასე კოხტად რთავს თავის აივანს.

იქნებ, ბევრს კიდევაც აქვს აივნის დამშვენების სურვილი, მაგრამ არ იცის, რომელი მცენარე გაახაროს, ან როგორ მოუაროს.

ზოგჯერ დაინახავ — პატარა აივანზე ყველა მცენარე გაუშენებიათ, რაც კი ხელთ მოჰხვედრიათ: მაღალი ტუხტა, კანა, გეორგინა, ქრიზანთემა, ზაფრანა, ხახვი, პამიდორი, წიწაკა და მწვანილი. იქვე დგას ცალკე ჭურჭლით ფიჭვი, კედარი ან კვიპაროსი (საახალწლო ნაძვის ხისთვის). ცხადია, მცენარეთა ასეთი შეუხამებელი თავმოყრა კი არ დაამშვენებს, არამედ დააუშნოებს შენობას.

ზოგი დიასახლისი აივანს დამხმარე სათავსოდ ხდის — ძველი ავეჯით ჩახერგავს, გადასაგდებად რომ ვერ გაუმეტებია. აივანზე მხოლოდ ყვავილები უნდა გავახაროთ. მათი მოვლა სასიამოვნო შრომაა, განსაკუთრებით — ბავშვებისათვის. ბავშვს ეს მხატვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ გემოვნებასაც უვითარებს და დამოუკიდებელ შრომასაც აჩვევს.

ახლა მრავალსართულიან და მაღლივ შენობებს აივნებზე მოწყობილი აქვთ მოგრძო ყუთები, გეჯა, კაშპო ყვავილების ჩასარგავად ან ჩასაწყობად. არქიტექტორებმა და მშენებლებმა, ამ მხრივ, დროულად იზრუნეს და ბევრ აივანს მოაჯირზე მიამაგრეს სპეციალური თაროები. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ისინი უქმად არიან მიტოვებული და წლობით აივნები უყვავილოდაა.

როგორ მოვაწყოთ საყვავილე გეჯა?

ფსკერდახვრეტილი ფიცრის ან ფურცლოვანი ლითონის გეჯა — გრძელი ყუთი (სიგანითა და სიღრმით 25–30 სანტიმეტრი, მთელი აივნის სიგრძეზე) უნდა ჩაიდგას ოდნავ განიერ დაბალ ყუთში, რათა მორწყვის დროს გამონაჟონი წყალი ქვედა სართულს ან ქუჩაში გამვლელს არ დაეწვეთოს (გამონაჟონ წყალს შემდეგ ისევ ნიადაგი შეიწოვს). გეჯის ნახვრეტებზე უნდა დაეფაროს ქოთნის ნატეხები. შემდეგ ფსკერი 2 სანტიმეტრის სისქეზე დაიფაროს წვრილი კენჭებით (დრენაჟისათვის, რათა ჭარბი წყალი გარეთ გამოჟონოს). ჭურჭელს ამოვავსებთ შეზავებული მიწით (ყამირის მიწა, ნეშომპალა, ნაკელი და სილა 1:1; 1:0,5 წილი). გეჯა შეიძლება დაიდგას პირდაპირ მოაჯირზე, ხოლო ვიწრო აივანზე გარედან გადმოეკიდოს და რიკულებზე დამაგრდეს. ყუთი შეიძლება აგრეთვე მოეწყოს ფანჯრის გარეთა რაფაზეც.

მცენარეების დარგვამდე მიწა კარგად უნდა დაიტკეპნოს და უხვად მოირწყოს.

მცენარეების შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს კედლის ორიენტაციას ქვეყნის მხარეების მიმართ, რადგან ყვავილები სხვადასხვაგვარად მოითხოვენ განათებასა და სითბოს.

საერთოდ, სასურველია შეირჩეს კაშკაშა ფერის, ერთი ან ორი ჯიშის უხვად და ხანგრძლივად მოყვავილე მცენარეები. დაყვავილების შემდეგ ერთი სახეობა მეორეთი უნდა შეიცვალოს. ადრე გაზაფხულის ყვავილობისათვის შეიძლება დაირგას ზიზილა, ფურისულა, იაჟუჟუნა, კონკიძველას (კესანე) ჩითილები, ან ტიტა, სუმბული, ნარცისის ბოლქვები, რომლებიც მაისის ბოლოს სხვა მცენარეებით უნდა შეიცვალოს.

გეჯაში სასურველია ჩაირგას ერთდროულად მოყვავილე 2-3 ჯიშის მცენარე. ძალზე კარგ შეხამებას იძლევა და მთელ ზაფხულსა და შემოდგომას ყვავილობს ბალბიფოთოლა (პელარგონიუმი), პეტუნია, წიწილკურა (ცერასტიუმი) და ლობელია. კარგია, აგრეთვე, დაბალი ჯიშის, ზაფხულში მოყვავილე ქრიზანთემა, ლომისპირა, ლევკოიონი, ვერბენა, დედოფლის ყვავილი (ნასტურცია), ალისუმი, ქვატეხია (საქსიფრაგა), ასტერი, მიხაკი, ხმალა და სხვა.

სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს დასარგავად გამოდგება ზონალური ან ფათალოსებრი პელარგონიუმი. არსებობს ამ ყვავილის წითელი, ნარინჯისფერი, ვარდისფერი, თეთრი და სხვა ფერის ჯიშები. ეს მცენარე მთელ ზაფხულს და გვიან შემოდგომამდე ყვავილობს. უცხოეთში მეტწილად ამ მცენარეს იყენებენ აივნების, კიბეების, კაშპოების, ლარნაკებისა და ნათელი დარბაზების გასაფართოებლად.

მზიან მხარეს დასარგავად უფრო გამოდგება დაბალი ჯიშის ხავერდულა და კალენდულა, ცერასტიუმი, ქლოროფიტუმი, სედუმები და სხვა.

ჩრდილოეთის მხარეს უმჯობესია პატარძლის ყვავილი (ფუქსია) და დედოფლის ყვავილი, ხოლო ხის ტოტებით დაჩრდილულ ადგილებში — გვიმრები, ჩადუნა, ხარისძირა, ციცინო (აგერატუმი), კლდის-დუმა (სედუმი სპექტაბილისი) და სხვ.

ხვიარა მცენარეებიდან კარგია ამერიკული უსურვაზი, სურო, ფათალო, წვრილ და ჭრელფოთოლა ჭანჭყატი (ევონიმუსი რადიკანსი), იპომეა, არისტოლოხია, პასიფლორა, ფშატი მჩხვლეტავი (ეს იძლევა საჭმელ ნაყოფს, მარადმწვანეა), ვაზი (თბილისის პირობებისათვის ჯიში — იზაბელა, (ადესა), ხვიარებიდან განსაკუთრებული სილამაზისაა ვისტარია (გლიცინია). თბილისში ახლაც შემორჩენილია ასწლიანი ვისტარიები, რომლებიც ხუთსართულიან სახლს 60 მეტრის სიგანეზე ფარავს. ცხადია, ასეთი ხვიარა უმჯობესია კედლის ძირში დაირგას.

ახალი მაღლივი შენობების ლოჯიებში გამოდგება შავი და წითელი ღვია, კლდისდუმები, უკვდავა; ქლოროფიტუმი. ვინაიდან აქ მცენარე ტემპერატურის ცვალებადობას და ჰაერის არა საკმაო ტენიანობას განიცდის, კარგია საამისოდ შეირჩეს ჩია, ნაგალა ჯიშები. ასეთი ფორმების მისაღებად მცენარეს აშიმშილებენ, ვიწრო ჭურჭელში რგავენ მწირ ქვიშიან და დატკეპნილ ნიადაგში, რის გამოც მცენარე ნელა და სუსტად ვითარდება. ხშირად ზედმეტ ფესვებსა და ტოტებსაც შეაკვეცენ, ქერქზე ჭდეს ავლებენ, იშვიათად რწყავენ. ასეთი „მოვლის“ შედეგად განვითარებული მინიატურული ხე ხშირად ასეულ წელიწადს ცოცხლობს და ძალიან ორიგინალური შეხედულებისაა. იაპონელებს ხშირად ფანჯრის რაფაზე ქოთნით უდგათ 40 სანტიმეტრი სიმაღლის 300-წლიანი მუხა, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის და უვლიან.

სად შეიძლება შევიძინოთ სარგავი მასალა?

ბევრი ნერგის, კალმის, ბოლქვისა და თესლის შეძენა შეიძლება მოსახლეობაში. ყვავილების მოყვარული — ყვავილების მოყვარულისაგან არასოდეს ხელცარიელი არ წამოვა. ამის გარდა, ნერგები და თესლი შეიძლება ვიშოვოთ საყვავილე მაღაზიებში და საყვავილე სანერგეებში. სასურველი მცენარე შეიძლება გამოიწეროთ ფასითაც და უფასოდაც იმ სანერგეებიდან და ინდივიდუალური მებაღეებისაგან, რომელთა სიები და განცხადებები სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „ცვეტოვოდსტვოში“.

აივნებსა და ლოჯიებში შეიძლება მთელი წლის განმავლობაში მოზრდილი ყუთით დადგათ მარაოსებრი პალმა — იუკა, დაფნა, ჰორტენზია, პიტოსპორუმი და სხვა. მრავალი მერქნიანი მცენარე — ციტრუსები, ფიკუსი, ჰიბისკური, კამელია, აზალიები, მარადმწვანე კოწახურები და სხვა ზაფხულობით შეიძლება ოთახიდან გამოიტანოთ აივანზე.

ადრეულა ყვავილების ჩითილების მისაღებად თესლი შეიძლება თებერვლიდან აპრილამდე ოთახში, ფანჯრის რაფაზე ყუთებში ჩაითესოს ან კალმები დააფესვიანოთ, ბოლქვები ქოთანში ჩარგათ და აპრილ-მაისში გარეთ, ყუთში გადარგოთ.

აივანზე მცენარეების მოსავლელად აუცილებელია მიწის ზედაპირის აფხვიერება, რწყვა, თხევადი სასუქის შეტანა. ზაფხულის ცხელ დღეებში მორწყვა საჭიროა დილით ადრე და საღამოთი, მზის ჩასვლის შემდეგ. კარგია ფოთლებზე წყლის შეპკურებაც.

აივანზე მცენარეების მოვლა-გამრავლება არ მოითხოვს დიდ ცოდნას და მომქანცველ შრომას. ეს მიმზიდველი, სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობაა და მხოლოდ მცირეოდენ ყურადღებასა და ზრუნვას საჭიროებს.

ლამაზად გაფორმებული აივანი მობინადრეთა მაღალ კულტურასა და გემოვნებას ამჟღავნებს.

**ირაკლი ხმალაძე,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

---

**გარეკანის პირველ გვერდზე — „პიონერული სალუტი“. ფოტოეტიუდი დ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა; მეოთხე გვერდზე — ილუსტრაციები წერილისათვის — „დავამშვენოთ აივნები“.**

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ძ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი   კორექტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 15/III-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-72 წ. ქაღალდის ზომა 60X90[1]/[8], ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 123.260. შეკვ. 1002, უე 01815, ფასი **80** კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



















ИНДЕКС 76178